

ისლამური სივილიზაციის კვლევაბი მუსლიმური ცენტრი რენესანსში



STUDIES IN ISLAMIC CIVILIZATION The Muslim Contribution to the Renaissance

A compelling attempt to restore the historical truths of a “golden age” that ushered in the Islamic renaissance, and as a by-product that of the West. Islam created a civilization that changed the world for the better. Spanning a greater geographic area than any other, across the eastern hemisphere from Spain and North Africa to the Middle East and Asia, it formed a continuum between the Classical world and the European Renaissance.

AHMED ESSA *with OTHMAN ALI*

იასი-ს წიგნების სერია

0სლამური ცივილიზაციების კვლევები

•

მუსლიმური წვლილი რენესანსში

აჰმედ ესსა და ოსმან ალი
შემოკლებული ვერსია ალისონ ლეიქის მიერ



International Institute
of Islamic Thought



გამომცემლობა „ჯენერალი“
თბილისი 2021

ისლამური ცივილიზაციის
კვლევები. მუსლიმური ცენტრი რენესანსში (Georgian)
აპტედ ესსა და ოსმან აღი
იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია

© ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი),
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი.
1443ჰ/2021

Paperback ISBN: 978-9941-33-081-0

Studies in Islamic Civilization:
The Muslim Contribution to the Renaissance (Georgian)
Ahmed Essa & Othman Ali
IIIT Books-in-Brief Series

© The International Institute of Islamic Thought, (IIIT)
1434AH/2012CE

Paperback ISBN 978-1-56564-591-2

IIIT
P.O. Box 669,
Herndon, VA, 20172, USA
www.iiit.org

ინგლისურიდან თარგმნა მეგო ულენტმა
თარგმანის თეოლოგიური რედაქტორი: ტარიელ ნაკაიძე
ფილოლოგიური რედაქტორი: ია ძირკვაძე
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი ც.დადანი №7 ბიზნეს და სავაჭრო ცენტრი ქარ-
ვალა A-317
ikiacademy.org

პუბლიკაცია მომზადებულია გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-
სტიტუტთან თანამშრომლობით

საავტორო უფლება დაცულია. სავალდებულო გამონაკლისებისა და შესაბა-
მისა კოლექტური ლიცენზირების შესახებ შეთანხმების დებულებებიდან
გამომდინარე, არცერთი ნაწილის გამრავლება არ შეიძლება მოხდეს გამომ-
ცემლების წერილობითი წებართვის გარეშე.

წინამდებარე ნაშრომში გამოხატული ხედვები და აზრები ეკუთვნის ავ-
ტორს და შეიძლება არ ემთხვეოდეს გამომცემლის მოსაზრებებს.

გამომცემლობა „უნივერსალი”, 2021

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

იასი-ს წიგნების შემოკლებული სერია

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის მიერ მომზადებული მნიშვნელოვანი და ძირითადი პუბლიკაციების ამსახველ ღირებულ კოლექციას, რომელიც ორიგინალის, სრული ტექსტის, მკითხველი საზოგადოებისთვის მარტივად აღქმის მიზნით შემოკლებული ფორმითაა დაწერილი. აღნიშნული ნაშრომი, დროის დაზოგვის თვალსაზრისით, წარმოდგენილია გამარტივებული სახით – დაწერილია მოკლედ და მარტივად, ფართო მასებისთვის გასაგები ენით. თანმდევი რეზიუმეები გვთავაზობს დიდი პუბლიკაციების ყურადღებით დაწერილ დეტალურ მიმოხილვას, რაც იმის იმედს გვიტოვებს, რომ ჩვენი ნაშრომი მკითხველს ორიგინალის გაცნობის ინტერესს აღუძრავს.

„ისლამური ცივილიზაციის კვლევები“ სრული სახით პირველად 2010 წელს გამოიცა, ხოლო 2011 წელს განმეორებით დაიბეჭდა. ის ეყრდნობა დასავლელი მეცნიერების ნაშრომებს იმის საჩვენებლად, რომ ისლამური სამყაროს უზარმაზარი წვლილის გარეშე ევროპაში რენესანსი ვერ დადგებოდა. თითქმის ათასი წლის განმავლობაში ისლამი უპირობოდ მსოფლიოს ერთ-ერთი წამ-

ყვანი ცივილიზაცია იყო, მოიცავდა რა გაცილებით დიდ გეოგრაფიულ არეალს ვიდრე ნებისმიერი სხვა ცივილიზაცია. მან აღმოფხვრა სოციალური განსხვავებები კლასებსა და რასებს შორის, ნათელი გახადა, რომ ადამიანებს უნდა მიიღოთ სიამოვნება მიწიერი წყალობებით იმ პირობით, რომ არ უგულებელყოფდნენ ზნეობასა და ეთიკას და გადაარჩენდნენ ცოდნას, რომელიც სხვაგვარად შესაძლოა დაკარგულიყო, სამუდამოდ თუ არა, საუკუნეების განმავლობაში მაინც. მუსლიმი სწავლულების გენიამ ბიძგი მისცა ევროპის ინტელექტუალურ ტრადიციებს, ხოლო მისი ენა, არაბული, შვიდი ასეული წლის განმავლობაში მეცნიერების საერთაშორისო ენა იყო. უცნაურია, რომ ისლამის მემკვიდრეობა დიდწილად უგულებელყოფილი და დროში ჩამარხულია. ოლდოს ჰაქსლის სიტყვებით, “ჭეშმარიტება დიადია, მაგრამ მაშინაც დიადად რჩება, როდესაც პრაქტიკული თვალსაზრისიდან გამომდინარე ჭეშმარიტება მიჩუმათებულია. უბრალოდ ზოგიერთი საკითხის ხსენებისგან თავის შეკავებით... პროპაგანდისტები საზოგადოებრივ აზრზე ბევრად მეტ ზეგავლენას ახდენენ, ვიდრე ამას გააკეთებდნენ ყველაზე მჭერეტყველური განცხადებებით.”

„ისლამური ცივილიზაციის კვლევები“ წარმოადგენს ამ უზუსტობის გამოსწორებისა და „ოქროს ხანის“ იმ ისტორიული ჭეშმარიტების აღდგენის სერიოზულ მცდელობას, რომელმაც ხელი შეუწყო ისლამურ და ასევე დასავლურ აღორძინებასაც ისლამურის გვერდითი პროდუქტის სახით. ამის განხორციელებისას, ერთი თვალის გადავლებით წარმოდგენილია იმ კულტურის მიღწევები,

რომელიც თავისი განვითარების მწვერვალზე ითვლებოდა კაცობრიობის პროგრესისა და განვითარების ნიმუშად.

აჰმედ ესსასა და ოსმან ალის ორიგინალური ნაწარმოების
„ისლამური ცივილიზაციის კვლევები“
მუსლიმური წვლილი რენესანსში
აჰმედ ესსა და ოსმან ალი
ISBNhbk: 978-1-56564-351-2
ISBNpbk: 978-1-56564-350-5 2012

შესავალი

ისლამურმა ცივილიზაციამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია, შექმნა რწმენის ინტელექტუალური მემკვიდრეობა, რამაც გარდაქმნა სამყარო. იგი მოიცავდა გაცილებით უფრო დიდ გეოგრაფიულ არეალს, ვიდრე ნებისმიერი სხვა ცივილიზაცია – აღმოსავლეთ ნახევარსფეროში ესპანეთისა და ჩრდილოეთ აფრიკიდან ახლო აღმოსავლეთსა და აზიამდე. მან მჭიდროდ დააკავშირა კლასიკური სამყარო და ევროპული რენესანი. დღევანდელი მუსლიმები უცნაურ მდგომარეობაში აღმოჩდნენ, რადგანაც აღიქმებიან იმ თვალთახედვით, რომელიც მუსლიმურ საზოგადოებას ასახავს, როგორც ჩამორჩენილ კულტურას. პოპულარული ისტორიული გადმოცემა კი შორსაა იმ დოკუმენტებით გამყარებული რეალობისაგან, რომელიც ცხადყოფს, რომ თავისი განვითარების მწვერვალზე ისლამური ცივილიზაცია წარმოადგენდა ადამიანური პროგრესისა და წინსვლის ნიმუშს.

არაერთ წამუშევარში ისლამური ცივილიზაციის მნიშვნელობა და მისი ღვაწლი ან მინიმუმამდეა დაყვანილი, ან კიდევ სრულიად იგნორირებული. წინამდებარენიგნი მიზნად ისახავს აღნიშნული შეცდომის გამოსწორებასა და „ოქროს ხანის“ იმ ისტორიული ჭეშმარიტების

აღდგენას, რომელმაც სათავე დაუდო და ხელი შეუწყო
ისლამურ რენესანსს. ისლამის ბრნყინვალე წვლილი
მეცნიერებაში, ხელოვნებასა და კულტურაში სისტემუ-
რად შეისწავლება სწავლების იმ უდიდესი პანორამის
დეტალური განხილვით, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა
რელიგიურ-ჰუმანისტურ ხედვას. ეს ხედვა უპირატესო-
ბას ანიჭებდა ინტელექტუალურ განვითარებასა და სქო-
ლასატიკურ ძალისხმევას. წიგნი ამოდის მუსლიმური
პერსპექტივიდან, იმავდროულად კი ეყრდნობა დასავლე-
ლი მეცნიერების ნაშრომებს.

ისლამური ცივილიზაციის მიღწევებსა და პოზიტი-
ურ ღვანლს მსოფლიოსა და ევროპულ რენესანსში არ
მიუღიათ სათანადო აღიარება. ეს დაუდევრობა ახსნი-
ლია სათანადო კვლევების ნაკლებობით, მუსლიმური
სამყაროს დღევანდელი არაშთამაგონებელი მდგომარეო-
ბითა და დასავლურ აკადემიურ დისკურსში არსებული
ევროცენტრული მიდგომით. ისლამური ცივილიზაციის
შესახებ ამჟამინდელი კვლევები ორ ძირითად კატეგო-
რიას განეკუთვნება. თანამედროვე აკადემიური კვლევე-
ბის პირველი ტენდენცია უარყოფს ისლამის თვალსაჩი-
ნო და შორსმიმავალ როლს შეუა საუკუნეების ცივილიზა-
ციის სამსახურში და დასავლეთის შემდგომ განვითარე-
ბაში.

მეორე აკადემიური ტენდენცია კი აღიარებს მუს-
ლიმთა წვლილს ისლამური და დასავლური ცივილიზაციი-
ს აყვავებაში. ამ მეცნიერებმა განახორციელეს საზრია-
ნი და საგულდაგულო კვლევები და ნათელი მოჰყვინეს
შეუა საუკუნეების ისლამის კოლოსალურ საგანძურს. ამ

მეცნიერთათვის აშკარა იყო, რომ რენესანსი და თანა-მედროვე დასავლური ცივილიზაცია გაცილებით მეტს უმადლის ისლამურ ცივილიზაციას, ვიდრე ეს აღიარებულია. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ისლამური ცივილიზაცია არ ყოფილა დოგმატური და მას არ ჰქონია განსხვავებული მიღვომა არამუსლიმების მიმართ.

ამის მიუხედავად, დასავლელი მეცნიერების პოლიტიკურად ორიენტირებული ნაწილი ხაზს უსვამს ექსტრემისტულ შეხედულებებს 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების გამო. ეს გავლენიანი ტენდენცია მნიშვნელოვნად აკნინებს ისლამური ცივილიზაციის გახსნილობასა და კრეატიულობას ისტორიის მანძილზე. ისლამისა და მისი ცივილიზაციის შესახებ ამგვარი აღქმების მიხედვით, თითქოს არ არსებობს ზომიერი ისლამი, რომ ისლამის ისტორია და ტრადიციები ქადაგებს ფანატიზმს, ძალადობასა და წმინდა ომს. ამ წიგნის ისტორიული პერსპექტივა განმარტავს ისლამური ცივილიზაციის აღქმაში დაშვებულ ამ შეცდომებსა და ხარვეზებს და ცხადყოფს, რომ ისლამი, როგორც რელიგია და ქვეყნის კანონი, ყოველთვის ილტვოდა მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ სხვებთან. შუა საუკუნეების ისლამური საზოგადოება ასევე ისწრაფოდა მრავალფეროვნების ერთიანობისკენ, აღიარებდა რა არამუსლიმთა ღვაწლს, თავისუფლად ითავისებდა წინამორბედი ცივილიზაციის მიღწევებს და იყენებდა ამ ცოდნას პროგრესული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

თავის პირგელი

ისლამის როლი ისტორიაში

ისლამმა შექმნა უნიკალური ხიდი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციებს შორის. მუსლიმმა მეცნიერებმა არა მარტო გადაარჩინეს ცოდნა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იკარგებოდა, არამედ ყოველ ჯერზე რაღაც ახალს მატებდნენ მას. მსგავსი შემოქმედებითი აღმაფრენით საუკუნეების მანძილზე მუსლიმებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს მსოფლიოს განვითარებაში. მუსლიმები ცოდნის ძიებას რელიგიურ მოვალეობად აღიქვამდნენ. ეს წვლილი მომდინარეობს რელიგიის უნიკალური მახასიათებლებისაგან, რომელიც უდიდეს ღირსებას ანიჭებს ადამიანებს.

ისლამმა ცხადყო, რომ ადამიანები უნდა დატკბნენ მიწიერი სიკეთეებით მორალისა და ეთიკის ფარგლებში. გარდა ამისა, ისლამი ილტვოდა კლასებსა და რასებს შორის არსებული სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრისაკენ. ისლამურმა ცივილიზაციამ გაარღვია გეოგრაფიული და დროის საზღვრები ევროპიდან აზიამდე და ამგვარად, მიაღწია სხვადასხვა ხალხების ერთობას. ქალთა მდგომარეობა მის თემებში გაუმჯობესდა. ისლამური ცხოვრების სტილი პასუხს აგებდა ისლამური ცი-

ვილიზაციის შექმნაზე მისი ყველა მიღწევითა და გავლენით.

ისლამი მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ცივილიზაციას წარმოადგენდა ათასი წლის განმავლობაში, ხოლო მისი ენა, არაბული, იყო მეცნიერების საერთაშორისო ენა.¹ თუმცა, უამრავი ისტორიული წიგნი ისლამური ცივილიზაციის მიღწევებს მიაწერს მის მიერ სხვა ცივილიზაციებისაგან ნასესხებ ცოდნას. ეს ისტორიკოსები ამჯობინებენ ყურადღება გაამახვილონ დასავლეთზე, როგორც შუა საუკუნეების ერთადერთ ცივილიზაციაზე და ძირითად აქცენტს აკეთებენ ევროპაზე.² ისლამის მათეული აღწერა და მსჯელობა მის შესახებ გამომდინარეობს მე-7 საუკუნისა და შემდგომი პერიოდის ტექსტებისგან, რომლებიც თავს ესხმის ისლამს, ყურანსა და მუჰამად შუამავალს (ს.ა.ს).³ ისტორიკოსები ვრცლად აღწერენ საპერძეოსა და რომს, ასევე ქრისტიანობის ადრეულ განვითარებას, მოკლედ აჯამებენ ისლამურ პერიოდს და აკეთებენ უზარმაზარ ნახტომს რენესანსის ეპოქისაკენ.

მუსლიმებმა გადმოიღეს წინამორბედი კულტურების მიღწევები, ისევე, როგორც ეს გააკეთა ყველა არა-

¹. J.M. Roberts, *The Penguin History of the World* (Harmondsworth, Middx, UK: Penguin Books, 1980), p.378

². Ibid., p.62.

³. (სალლა ალლაჰჰ ‘ალაჰჰ ვ ასალლაჰ) ქართულად: ალლაჰ ჰის ლოცვა და მშვიდობა მას. ეს არის ისლამური თეოლოგიური ფორმულა, რომელიც გამოიყენება წმინდა მუჰამად შუამავლის სახელის – „მუჰამადის“ ხსენებისას.

ისლამურმა ცივილიზაციამ, მაგრამ ამის შემდეგ საკუთარი წვლილი შეიტანეს კაცობრიობის განვითარებაში და შექმნეს უნიკალური ცივილიზაცია. თავის მხრივ, სხვა ცივილიზაციებმა, განსაკუთრებით კი ახლად აღმოცენებულმა ევროპულმა ცივილიზაციამ, გადმოიღო ისლამური ცივილიზაციის იდეები და მონაპოვარი. ისლამმა წარმოქმნა კიდევ ერთი ისტორიული უწყვეტი ხაზი იუდაიზმისა და ქრისტიანობის განვითარების შევსებით, რითიც საფუძველი ჩაუყარა მომდევნო დომინანტურ ცივილიზაციას: დასავლეთს.

თავი მეორე

სწავლა და ისლამური ცივილიზაცია

სწავლაზე აქცენტის გაკეთებით⁴ ისლამმა შეავსო ის უფსკრული, რომელიც თანდათანობით ფართოვდებოდა მე-7 საუკუნის სამყაროში. ძირითადი ცივილიზაციები გაქრნენ და ევროპას დაუდგა „ბნელი ხანა“, მაშინ, როდესაც ისლამის გეოგრაფიულ ექსპანსიას თან ახლდა ინტელექტუალური და კულტურული მგზნებარება. ყურანი გამოვლინდა როგორც სწავლის მნიშვნელოვანი სტიმული. სიტყვა ‘ილმ (ცოდნა) ყურანში დაახლოებით 750-ჯერ გვხვდება. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად განმეორებადი სიტყვა როგორც ყურანში, ასევე

⁴. Franz Rosenthal, Knowledge Triumphant (Leiden, The Netherlands: E.J. Brill, 1970), p.70.

მუჰამად (ს.ა.ხ) შუამავლის სუნაში. გარდა ამისა, ყურანი ნათლად განასხვავებს ადამიანებს სხვა ქმნილებებისა-გან, აზროვნების უნარის ქონის გამო.⁵ ყურანის ენა მდიდარია სამეცნიერო ცნებებისა და ცოდნის სხვა სფე-როების აღწერით. დღეს, ისევე როგორც ადრე, მუსლიმი მთელი ცხოვრების განმავლობაში მუდმივად ეცნობა ყუ-რანის ენას ყურადღებით წაკითხვითა და მოსმენით. კლასიკური არაბულის უდიდესი მნიშვნელობა, როგორც ისლამისა და მისი ცივილიზაციის ლინგვისტური საფუძ-ვლისა, საჭიროებს უფრო დიდ ყურადღებას, ვიდრე მას უთმობენ დასავლეთში. შუა საუკუნეების განმავლობაში არაბული დომინირებდა მუსლიმურ სამყაროში და წარ-მოდგენილი იყო ევროპაში. სანამ მას ლათინური ჩაანაც-ვლებდა, ის გამოიყენებოდა ზოგიერთ ევროპულ უნი-ვერსიტეტში. არაბული ენის ლექსიკონი და გრამატიკის საფუძვლები ასევე წარმოადგენდა ებრაული ფილოლო-გიის წყაროს.

მუსლიმურმა თემმა თითქმის დასაბამიდანვე აღია-რა წერა-კითხვის ცოდნა თავის ერთ-ერთ მთავარ საჭი-როებად და დააარსა ყველა ტიპის სკოლა მაშინ, როდე-საც ევროპაში წიგნიერება სამღვდელოების პრივილეგია იყო.⁶ ეს იყო უნიკალური საზოგადოება, რომელიც უდი-დეს აქცენტს აკეთებდა განსწავლულობაზე. ჯერ კიდევ ისლამის ადრეულ საუკუნეებში მუსლიმ მეცნიერებს ღრმად სჯეროდათ, რომ გულმოდგინება, ცოდნა და

5. ყურანი- 3:13, 2:118, 2:269, 31:20.

6. Roberts, Penguin History of the World, p.394.

ღვთისმოსაობა გააუმჯობესებდა სიცოცხლეს დედამიწა-სა და საიქიოში. სწავლის მნიშვნელობა ხაზგასმულია ყურანში, ასევე მუჰამად შუამავლისა და მისი უშუალო მემკვიდრეების მოძღვრებებსა და საქმიანობაში.

თავი მჩეამე

პირველი მუსლიმური თემის ჩამოყალიბება

პირველი მუსლიმური თემი მელიორისტული იყო, რადგან მუსლიმებმა შეცვალეს თავიანთი ცხოვრების წესი ყურანის ზეშთაგონებითა და მუჰამად შუამავლის ქცევის საპასუხოდ. ამ ელემენტებმა გავლენა მოახდინა მათი ცხოვრების ყველა ასპექტზე. მაგალითად, ყურანი ხაზს უსვამს ბუნებასთან ჰარმონიაში მუშაობასა და ღმერთის მიერ ბოძებული სამყაროს მშვენიერების ტკბობის მნიშვნელობას. ასევე, ისლამი ანიჭებს ადამიანს გაცილებით მაღალ სტატუსს და არ თვლის, რომ ის ცოდვაში დაბადებული ან რეინკარნირებულია. ყურანი აღწერს ადამიანის სხეულს, როგორც სასწაულს, რომელსაც ძალუძს შეიძინოს ღვთიური თვისებები.⁷ ერთი სიტყვით, ღმერთმა აღმატებულ ხარისხში აიყვანა კაცობრიობა. ყურანი ბრძანებს „და ვფიცავ, ჩვენ აღმატებულ ვჰქმენით ადამის შვილნი“ (ყურანი-17:70).

შუამავალი წარმოადგენდა გონიერების, შთაგონე-

⁷. ყურანი-38:71-72

ბისა და ყურანის სხვა სწავლებების ეტალონს. მუჰამად შუამავალმა, რომელიც დაიბადა მექაში ახ.წ. 570 წელს, მოიპოვა დიდი ნდობა მისი პირადი და საზოგადო ცხოვრებიდან გამომდინარე. ახ.წ. 610 წელს მას ზეგარდმო-ევლინა პირველი ღვთიური გამოცხადება, რის შემდეგაც დაიწყო ქადაგება თავის თანამოქალაქე მექელებში. ეს უკანასკნელი სდევნიდნენ შუამავალს მანამ, სანამ ის არ გადასახლდა მომავალ ქალაქ მედინაში. ეს მოვლენა, ჰიჯრა, ისლამური კალენდრისა და პირველი მუსლიმური თემის ჩამოყალიბების დასაბამს აღნიშნავს. რამდენიმე ომის შემდეგ შუამავალი და მისმა მიმდევრები დაბრუნდნენ მექაში და აქციეს ის ისლამის ცენტრად. შუამავლის ხედვა მართავდა ამ ახალ ცივილიზაციას და „ჯიპა-დი“, ანუ ლირსეული მიზნებისაკენ სწრაფვა, იყო ამ მიზნების მიღწევის საშუალება. მეჩეთი გახდა საზოგადოების, განათლებისა და სახელმწიფოს ცენტრი, შეიქმნა დაბევრის სისტემა, განვითარდა მუსლიმური საქველმოქმედო სისტემა გაჭირვებულთა დასახმარებლად.

შუამავალი მუჰამადი მოკრძალებული და თავმდაბალი ლიდერი იყო, რომელიც ცხოვრობდა ჩვეულებრივი ცხოვრებით და ითხოვდა, რომ ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის ქალებს, ჰქონოდათ თანასწორი მოპყრობის უფლებები. მოვლენების ასეთი განვითარება ძალზედ საყურადღლებოა იმ დროისათვის, როცა მამები, არცთუ ისე იშვიათად, ქალიშვილის დაბადებას სირცხვილად მიიჩნევდნენ და ხშირად კლავდნენ (ცოცხლად მარხავდნენ) კიდეც ახალშობილ გოგონებს. შუამავალმა განაცხადა, რომ ქალებს შეუძლიათ ქალიშვილობის გვარის შენარ-

ჩუნება ქორწინების შემდგომაც და რომ ისინი არ იქნებიან თავიანთი ქმრების მონები. მამაკაცებს შეეზღუდათ გადაჭარბებული რაოდენობით ცოლების ყოლის უფლება, ხოლო ქალებს მიეცათ განქორწინების, ალიმენტისა⁸ და ბავშვზე მზრუნველობის გადანაწილების მოთხოვნის უფლება.⁹ ქალებს ასევე შეეძლოთ ქონების ფლობა და მისი განკარგვა.¹⁰ ეს მოვლენები ბევრად უსწრებდა წინ თავის დროს.

თავი მეოთხე

ისლამური მსოფლიო წესრიგი

ისლამის აღმოცენებიდან ერთი საუკუნის განმავლობაში მუსლიმებმა მიაღწიეს ერთი მიმართულებით ჩრდილოეთ აფრიკასა და ესპანეთს, ხოლო მეორე მიმართულებით ჩინეთსა და ინდონეზიას, რის შედეგადაც მოიპოვეს ისლამზე მოქცეულთა შთამბეჭდავი რაოდენობა. პირველ რიგში, ისინი მტრებს უპირისპირდებოდნენ გასაოცარი სულისკვეთებით, იმის გათვალისწინებით, რომ ხშირ შემთხვევაში უკვე დამკვიდრებული ცივილიზაციები მათ რაოდენობრივად აღემატებოდნენ. ასევე, მუსლიმური სამყაროს მომავლისათვის მნიშვნელოვან

^{8.} ყურანი-2:241

^{9.} ყურანი-2:233

¹⁰ Marshall G.S. Hodgson, *The Venture*, 3 vols. (Chicago, IL, & London, 1974), vol.1, p.182.

მომენტს წარმოადგენდა ის, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მშვიდობიან მოსახლეობას მუსლიმების მიმართ. ებრაელებმა და ბევრმა ქრისტიანმა მუსლიმები კეთილგანწყობილად მიიღეს, რადგანაც იტანჯებოდნენ ბიზანტიელთა მხრიდან მუდმივი დევნისა და შევიწროვების გამო.¹¹ მუსლიმები სამართლიანი მმართველები იყვნენ, რადგანაც შუამავალმა მოუწოდა მათ „ფაქიზად მოპყრობდონენ ხალხებს“ სხვა ქვეყნებიდან.¹²

მუსლიმები არ ანადგურებდნენ მათ მიერ დაპყრობილ ადგილებს. ისინი ასევე არ ხოცავდნენ მამაკაცებს და არ ამონებდნენ ქალებსა და ბავშვებს. მათი ჯარები არ იკავებდნენ ქალაქებს, არამედ შორიახლოს აშენებდნენ თავიანთ კარვის ქალაქებსა და სამხედრო გარნიზონებს, რომელთაგან რამდენიმე, მათ შორის კაირო, შემდგომში მათ ქალაქად იქცა.¹³ ბალდადი¹⁴ დაარსდა სწავლის განვითარებისათვის და იქცა მუსლიმური სამყაროს პირველ მსხვილ ინტელექტუალურ დედაქალაქად. ისლამური სამართლის სკოლის (მაზჰაბის) ოთხ ფუძემდებლელთაგან სამი იქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

¹¹Paul Johnson, *Civilizations of the Holy Land* (New York: Atheneum, 1979), pp.169–170.

¹². Johnson, *Civilizations*, p.170. Also Abba Eban, *Heritage: Civilization and the Jews* (New York: Summit Books, 1984), p.127.

¹³. Philip Khuri Hitti, *History of the Arabs: From the Earliest Times to the Present*, 9th edn. (London: Macmillan; & New York: St. Martin's Press, 1968), pp.619–620

¹⁴. Philip K. Hitti, *Capital Cities of Islam* (Minneapolis, MN: University of Minnesota Press, 1973), pp.510–512.

გარდა ამისა, ბალდადი გახდა აპასიანების, ისლამური ისტორიის ყველაზე გრძელვადიანი მმართველი დინასტიის, დედაქალაქი. მონღოლებმა გაანადგურეს ქალაქი და მისი ბიბლიოთეკები ახ.წ. 1258 წელს.

მიუხედავად გავრცელებული შეხედულებისა, თითქოს ისლამი გავრცელდა ხმლითა და პრძოლით, რეალურად მუსლიმები წარმოადგენდნენ უმცირესობას ისლამური მმართველობის ქვეყნებში, მათ შორის ირანში, ერაყში, ეგვიპტეში, თუნისსა და ესპანეთში.¹⁵ თავისი მმართველობის მთელი პერიოდის განმავლობაში მუსლიმები იყვნენ უმცირესობაში ასევე ისეთ ქვეყნებშიც, როგორიცაა ინდოეთი და სიცილია.¹⁶ საერთო ჯამში, მუსლიმი მმართველები არ აწუხებდნენ მათი მმართველობის ქვეშ მცხოვრებ ეპრაელებსა და ქრისტიანებს. ისლამზე ბევრის მოქცევა განხორციელდა დაპყრობებიდან საუკუნეზე მეტი წენის შემდეგ.¹⁷ ისლამი გავრცელდა ინდონეზიაში, მუსლიმური სამყაროს ყველაზე დიდ ქვეყანაში, არა პრძოლითა და დაპყრობით, არამედ ვაჭრებისა და სუფიების მეშვეობით.¹⁸

¹⁵. Albert Hourani, *A History of the Arab Peoples* (Cambridge, MA: Belknap Press of Harvard University Press, 1991), pp.46–47

¹⁶. Bernard Lewis, *Islam and the West* (New York, and Oxford, UK: Oxford University Press, 1993), p.12

¹⁷. Richard Bulliet, *Conversion to Islam in the Medieval Period* (Cambridge, MA; and London: Harvard University Press, 1979), pp.33, 34, 37, 44, 82, 97, 109 & 124

¹⁸. Philip Curtin, *Cross-Cultural Trade in World History* (Cambridge, UK: Cambridge University Press, 1984), p.107

მართალია მონღოლებმა დაიპყრეს და გაანადგურეს მუსლიმური სამყაროს ძირითადი ნაწილი, მაგრამ იმავე მონღოლებმა ისლამი ნებაყოფლობით მიიღეს. მონღოლების შთამომავლებმა შექმნეს ისლამური ცივილიზაციები და საკუთარი კულტურები, როგორიცაა მაგალითად მოგოლებისა. მუსლიმების ცივილიზებული ქცევა ყველაზე თვალსაჩინოდ იკვეთება მათ დამოკიდებულებაში ებრაელების მიმართ ისლამური ექსპანსიის ადრეული ათწლეულების განმავლობაში – მაშინ, როდესაც ებრაელები იდევნებოდნენ ქრისტიანების მიერ. ებრაელებმა, რომლებიც გაექცნენ ქრისტიანების მხრიდან დევნას, თავი შეაფარეს მუსლიმურ ქვეყნებს. ესპანეთში, მუსლიმებს არაერთხელ დაუნიშნიათ ებრაელები მათი რეგიონების მმართველებად. სხვა მუსლიმურ ქვეყნებში კი ებრაელები ინარჩუნებდნენ თავიანთ თემებს და ცხოვრობდნენ საკუთარი კანონების მიხედვით. ისინი ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ მუსლიმთა ცხოვრებაში, წინამავალი ადგილი ეკავათ სახელისუფლებო და აკადემიურ ინსტიტუციებში. ებრაულმა მეცნიერებამ რელიგიისა და ფილოსოფიის დარგში მის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ წარმატებებს სწორედ მუსლიმთა მმართველობის პირობებში მიაღწია. უმეტესობა ებრაელი მეცნიერებისა თავმოყრილნი იყვნენ დედაქალაქებში, ხოლო მუსლიმური ესპანეთი იყო იუდაიზმის ინტელექტუალური ცენტრი.

თავი მეხოთი

ისლამური ცივილიზაცია ევროპასა და დასავლეთ აზიაში

ისლამური სამყარო კიდევ უფრო განივრცო, როდე-
საც ისლამური იმპერია სწრაფად გაბატონდა სრულად
ოკეანებზე. საუკუნეების განმავლობაში არაბები მოგზა-
ურობდნენ ნავებითა და გემებით და გადაჰქონდათ საქო-
ნელი პორტიდან პორტამდე. მუსლიმებმა განვითარეს
სანავიგაციო უნარები და დაამატეს საჭე, რომელსაც და-
სავლეთი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს გადააწყდა,
შემდეგ კი გააუმჯობესეს ბერძნებისგან ნასესხები ას-
ტროლაბი. მათ ასევე მოიპოვეს მაგნიტური ნემსი ჩინე-
ლებისაგან¹⁹ და დახვეწეს კომპასი. ისლამური ნავიგაცია
სწრაფი ტექნებით ვითარდებოდა, რისი შედეგიც გახდა
უკვე მესამე ხალიფას, უსმანის დროს კარგად აღჭურვი-
ლი ფლოტით ხმელთაშუა ზღვაზე სრული კონტროლის
დამყარება. მუსლიმების გემები მოგვიანებით სავაჭროდ
გაემართნენ ინდოეთის, ჩინეთისა და აფრიკის აღმოსავ-
ლეთი სანაპიროსკენ. ინგლისური სიტყვა „ადმირალ“
მომდინარეობის არაბული წინამძღოლისგან (ამინ).

ესპანეთისა და სიცილიის შემდეგ მუსლიმებს აღარ
გამოუჩენიათ განსაკუთრებული ძალისხმევა დიდი დაპ-
ყრობებისა და ექსპანსიისათვის. ისლამურმა ცივილიზა-
ციამ ნიშანდობლივი გავლენა მოახდინა სიცილიაზე, რო-
გორც ხელოვნებაში, ისე განათლებასა და სოფლის მე-

¹⁹. Hitti, History, p.299.

ურნეობაში. მუსლიმების მმართველობა სიცილიაზე გაგრძელდა ორასი წელი. მეფე როჯერ I-ის მმართველობის პერიოდში კუნძულის ადმინისტრაცია კვლავაც მუსლიმების ხელთ იყო, ისე როგორც ვაჭრობა და სოფლის მეურნეობა. ამ შერწყმამ შექმნა ქრისტიანულ-ისლამური კულტურა. ასევე, სიცილია მუსლიმური კულტურის ნაწილი იყო როჯერ II-სა და ფრედერიკ II-ს მეფობის დროსაც. როჯერ II-ს მეფობისას კი მუსლიმების განსწავლულობამ გემთმშენებლობასა და ზღვაოსნობაში, სიცილიას ხელი შეუწყო გამხდარიყო წამყვანი საზღვაო ძალა.²⁰ ფრედერიკ II-ს არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთით მუსლიმურ სამყაროსთან, მუსლიმი მმართველები მისი ახლო მეგობრები იყვნენ, სწორედ ამან განაპირობა, რომ მას ევროპაში ბევრი მტერი გამოუჩნდა.²¹

მთელს მსოფლიოში მოგზაურმა მუსლიმმა ვაჭრებმა და მეზღვაურებმა მოგზაურობის აღწერისა და ჩანაწერების სახით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გეოგრაფიაში. ამ მხრივ დიდი ღვაწლი აქვთ ოსმალურ ქვეყნებში მოგზაურ ეპრაელებს და ქრისტიანებს. ამასთანავე, მუსლიმებმა გააგრძელეს აზიის დაპყრობა: კერძოდ, ინდოეთის, სამხრეთ რუსეთისა და სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთის. მუსლიმებმა შექმნეს საფოსტო სისტემა, რათა ჰქონდათ კომუნიკაცია ამ შორეულ ტერიტორიებთან. საფოსტო სისტემა კიდევ უფრო დაიხ-

²⁰. Hitti, History, p.609.

²¹. Sayyid Fayyez Mahmud, A Short History of Islam (Karachi, Pakistan: Oxford University Press, 1960), p.209.

ვენა აბასიანთა მმართველობის დროს, რომლის ცენტრიც ბალდადი იყო. მსგავსი მიღწევები და აღმოჩენები შეესაბამებოდა ყურანის მოძღვრებასა და შუამავლის ჰადისებს.

მუსლიმები ღია იყვნენ სხვა კულტურების მიმართ და სწავლობდნენ მათგან. ყველგან, სადაც შეაღწია ისლამმა, მან დასაბამი დაუდო ცივილიზებული ცხოვრების გარემოს. მუსლიმური გავლენა თვალსაჩინო იყო ბევრ ქალაქში მსოფლიო მასშტაბით. ცენტრალური აზიის პასტორალური რეგიონები ისლამს ეზიარნენ სავაჭრო გზებთან სიახლოვის გამო. ცენტრალური აზიის მკვიდრებმა და სუფიებმა ისლამი განავრცეს სავაჭრო გზები-დან მოშორებულ რეგიონებშიც, ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით. ამიტომაცაა, რომ მსოფლიოს სხვა ნაწილებისაგან განსხვავებით, მუსლიმურ სამყაროში სოფ-ლები არ იყო იზოლირებული. ქალაქთან დამაკავშირებელ ყველაზე მნიშვნელოვან რგოლს რელიგიის მასწავლებლები წარმოადგენდნენ. ისლამური დაპყრობები არ ჰქოვდა სხვა იმპერიების დაპყრობის სტილს, რადგანაც მუსლიმური მმართველობა დიდწილად კეთილმოსურნეობაზე იყო დამყარებული. მუსლიმები ეხმარებოდნენ ცხოვრებისეული პირობების გაუმჯობესებაში იმ ქვეყნებში, რომლებშიც მკვიდრდებოდნენ, ავითარებდნენ ვაჭრობას და ავრცელებდნენ ცოდნას.

თავი მემჩნევ

ვაჭრობა

არაბები საუკუნეების განმავლობაში, ჯერ კიდევ ისლამამდე, ეწეოდნენ ვაჭრობას. ისინი იღებდნენ საკ-მევლის მოსავალს და ყიდდნენ მას საკმევლის გზის გასწვრივ, რომელიც მექაზე გადიოდა. მუსლიმები გახდნენ ენთუზიასტი გამყიდველები და ვაჭრები. ეგვიპტე-სა და ჩრდილოეთ ხმელთაშუა ზღვის ტერიტორიაზე გამართულ ადრეულ ბრძოლებს თუ არ ჩავთვლით, სწორედ ვაჭრობამ და ლვთისმოსაობამ მიიყვანა რელიგია და მისი მიმდევრები აფრიკის საჰარის სამხრეთისაკენ, იქ, სადაც მუსლიმებმა ჩაებნენ ვაჭრობაში და თანდათანობით გაზარდეს საქარავნო გზების რიცხვი. ვაჭრობაზე ფოკუსირებამ ხელი შეუწყო ისლამური ცივილიზაციის აღზევებას მსოფლიოს მასშტაბით. კომერციული საზრი-ანობა, რწმენა და კულტურული გახსნილობის კომპინა-ცია აღმოჩნდა მძლავრი საშუალება მუსლიმური სამყა-როს გაძლიერებისათვის. მუსლიმმა მოვაჭრეებმა ეფექ-ტურად დააკავშირეს ორი უდიდესი ძალის – სპარსეთისა და ბიზანტიისა ტერიტორიები, გააუჯობესეს კომერციის პირობები და გაზარდეს კეთილდღეობა როგორც არსე-ბულ სავაჭრო გზებზე, ისე დაპყრობილ ტერიტორიებზე.

მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში დასახლებულ მუს-ლიმებს თან მიჰექონდათ ფული და ინვესტიციები, გარდა ამისა, ისინი ასევე ყალიბდებოდნენ მომსმარებლებად. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ არამუსლიმებიც ნახუ-

ლობდნენ სარგებელს მუსლიმების ამ უზარმაზარი წა-
მოწყებებიდან, სასოფლო რეგიონებშიც კი. შესაძლებე-
ლია, რომ მუსლიმები სარგებლობდნენ ცხოვრების გაცი-
ლებით მაღალი სტანდარტებით სპარსელებისა და ბი-
ზანტიულების დროსთან შედარებით. ასევე, ვაჭრობის
განვითარება უკავშირდება მოვაჭრეების მაღალ სოცია-
ლურ სტატუსსაც მუსლიმურ სამყაროში. ისინი ეკუთ-
ვნოდნენ საზოგადოების ინტელექტუალურ ფენას, გზავ-
ნიდნენ შვილებს სასწავლებლად უნივერსიტეტებში, ხე-
ლოსნები კი დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ.

ისლამის ზეგარდმოვლენასთან ერთად „საკმევლის
გზის“ დაცულობა უზრუნველყოფილი გახდა ყურანის
მითითებებით.²² ეს გზა ასევე ცნობილი გახდა, როგორც
პილიგრიმთა (მომლოცველთა) გზა. ვაჭრობა იმდენად
მნიშვნელოვანი იყო მუსლიმებისათვის, რომ მათ ეძლეო-
დათ საქონლის ყიდვა-გაყიდვის შესაძლებლობა მექაში
პილიგრიმობის დროსაც. ამგვარად, ქალაქი გადაიქცა
რელიგიისა და საერთაშორისო ვაჭრობის მშვიდობიან
ცენტრადაც.

მუსლიმებმა განავითარეს სავაჭრო ურთიერთობები
აფრიკაში, ისტორიული მასშტაბების მიღმა საპარის
უდაბნოს რეგულარულად გადაკვეთითა და ისლამური
ცივილიზაციის აფრიკაში გავრცელებით. ეს ვრცელი
გზა გადაჭიმული იყო დასავლეთ საპარადან აღმოსავ-
ლეთ აფრიკამდე, საპარის სამხრეთით მდებარე შიდა
რეგიონების გამოკლებით. ისლამი ვრცელდებოდა ვაჭ-

^{22.} ყურანი-106:2

რობით მანამ, სანამ აფრიკის მოსახლეობის ნახევარზე მეტი არ გახდა მუსლიმი და ამიერიდან კონტინენტის რეგიონებს მხოლოდ ენობრივი ბარიერი ჰყოფდა. ისლამის მიღებამ აფრიკაში უზარმაზარი ზეგავლენა მოახდინა ვაჭრობის განვითარებაზე. მალევე მოხდა აფრიკელების სრული ასიმილირება და ისინი აქტიურად ჩაერთვნენ სავაჭრო საქმიანობაში. ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარების მიზნით განვითარდა ხმელთაშუა ზღვის პორტები, რომლებიც უამრავ საქარავნო გზას უკავშირდებოდა.

აფრიკასთან კავშირის დამყარების მსგავსი იყო ადრეული მუსლიმური კონტაქტები ჩინეთთან. ბევრი მუსლიმი მოვაჭრე დამკვიდრდა ჩინეთში და შეიქმნა მუსლიმთა მოსახლეობა შთამბეჭდავი რაოდენობით, რასაც მოჰყვა ჩინელთა მოქცევა ისლამზე და მონღოლი მმართველების მიერაც საბოლოო ჯამში, ისლამის მიღება. მუსლიმები იყენებდნენ კიდევ ერთ სავაჭრო მარშრუტს, „აბრეშუმის გზას“, რომელიც უძველესი დროიდან გამოიყენებოდა ჩინეთიდან აბრეშუმის ტრანსპორტირებისათვის. მუსლიმმა მოვაჭრეებმა გააუმჯობეს მარშრუტი, გახსადეს ის გაცილებით უსაფრთხო, გამოიყენეს რა სპარსეთსა და ჩინეთს შორის ჯერ კიდევ ისლამამდელი პერიოდიდან არსებული საზღვაო სავაჭრო გზები. ხმელეთზე მუსლიმთა და ჩინელთა შორის პირველი კონტაქტი შედგა დასავლეთ ჩინეთში. კანტონში მუსლიმი მოსახლეობა კეთილდღეობაში ცხოვრობდა და უფლებაც ჰქონდათ ჰყოლოდათ საკუთარი მოსამართლე, რომელიც მათ ისლამური კანონებით განსჯიდა.

სავაჭრო ურთიერთობები ჩინეთსა და მუსლიმებს შორის გაცხოველდა. ჩინეთმა მუსლიმების მიღწევებით ნაოსნობასა და ნავიგაციაში დიდი სარგებელი ნახა. „მუ-სონურმა მარშრუტებმა“ ინდოეთისა და ჩინეთის გავ-ლით, არაერთი მაგალითით დაადასტურა მოვაჭრეთა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის წარმოქმნილი მეგობ-რული ურთიერთობები. მუსლიმებმა ასევე გაამარტივეს მიმოსვლა ჩინეთსა და დასავლეთს შორის, რათა მოვაჭ-რებს შესძლებოდათ მშვიდად და უსაფრთხოდ ემოგზა-ურათ შორეულ აღმოსავლეთიდან ხმელთაშუა ზღვის გავლით მუსლიმურ ესპანეთამდე.²³ ეს ახალი სავაჭრო ერთობა არსებობდა საუკუნეების განმავლობაში, ისეთი ომის პერიოდებშიც კი, როგორიცაა ჯვაროსნული ლაშ-ქრობები და მასში ევროპელებიც მონაწილეობდნენ. მუსლიმურმა ვაჭრობამ გააუმჯობესა ევროპის მდგომა-რეობაც, დაეხმარა რა მას გარდაქმნილიყო მცირე ფეო-დალური სამთავროებიდან საერთაშორისო ვაჭრობის ვრცელ არეალად. სწორედ ამ ფაქტორმა, ისლამისაგან მიღებულ ცოდნასთან ერთობლიობიაში, ხელი შეუწყო რენესანსის დადგომას.

²³. The New York Times, March 16, 1993

თავი მეშვიდე

სოფლის მეურნეობა და ტექნოლოგიები

სოფლის მეურნეობა მუსლიმური ვაჭრობის ცენტრალური ელემენტი და მუსლიმური სამყაროს ეკონომიკური და კულტურული ექსპანსიის კიდევ ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო. ისლამის სამყაროს შესახებ არსებული დამახინჯებული ცნებებისა და სტერეოტიპული წარმოდგენის გამო, ცოტა რამაა ცნობილი ამ ისტორიის შესახებ დასავლეთში. სინამდვილეში მუსლიმები იყვნენ კარგად გათვითცნობიერებულნი სოფლის მეურნეობაში და მათ დიდი წვლილი მიუძღვით ხელმისაწვდომი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობის ზრდასა და ისეთი ახალი პროდუქციის გავრცელებაში, როგორიცაა იონჯა. მათ დახერგეს რამდენიმე საყურადღებო სიახლე სოფლის მეურნეობაში, რამაც თავის მხრივ გაზიარდა წარმოება და გაამყარა ეკონომიკა. ეს ინოვაციები მოიცავდა უფრო მოსავლიანი მარცვლეული კულტურების შემოტანას, უფრო სპეციალიზებულ მიწათსარგებლობასა და მოდერნიზებული სარწყავი სისტემების დანერგვას. ამ ყველაფერმა განსაკუთრებულად ეფექტი იქონია ხილის, ბოსტნეულის, ბრინჯის, მარცვლეულის, შაქრის, ლერწმის, პალმებისა და ბამბის წარმოებაზე.²⁴

მუსლიმებმა შეიტანეს სოფლის მეურნეობის პრო-

²⁴. Andrew M. Watson, Agricultural Innovation in the Early Islamic World (Cambridge, UK: Cambridge University Press, 1983), p.2.

დუქტები და მათი კულტივაციის მეთოდები მუსლიმურ ესპანეთში, რამაც ბიძგი მისცა ქვეყნის ეკონომიკას და ახლო აღმოსავლეთსა და აზიაში ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდას. მათ სხვა ქვეყნებში, შორს დასავლეთისკენ ესპანეთში, შეიტანეს აზიური წარმომავლობის ხილი, ისეთი როგორიცაა ციტრუსები, ბანანი და მანგო. გარდა ამისა, მუსლიმებს მოჰყავდათ და ავრცელებდნენ საზამთროს. სწორედ მათ გაავრცელეს სამი ბოსტნეული წარმოშობის ადგილების მიღმა: ისპანახი, ბადრიჯანი და არტიშოკი. ასევე, მუსლიმებმა ხელი შეუწყვეს ხორბლის, სორგოსა და ბრინჯის ფართოდ გავრცელებას, ხშირ შემთხვევაში ახალი ჯიშების გამოყვანისა და მოსავლის ზრდის მიზნით. ენათმეცნიერთა აზრით, არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ მუსლიმებმა შეიტანეს პასტა²⁵ იტალიაში. მუსლიმები პასუხს აგებდნენ ბრინჯის მოხმარების ზრდაზე და ხელს უწყობდნენ მის შეტანას კვების ძირითად რაციონში. მათ ასევე შემოიტანეს ქოქოსი და ფინიკი დასავლეთში. არსებობს უპირობო ლინგვისტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ სიტყვა „სუგარ“ (შაქარი) არაბული წარმოშობისაა და გამომდინარებს არაბული სიტყვა „სუქარ“-ისაგან.

ისლამურ სამყაროში ასევე განვითარდა ბამბის წარმოებაც. სიტყვა „cotton“ (ბამბა) არაბული წარმოშობისაა. მუსლიმთა წყალობით ბამბა მაღევე გახდა პოპუ-

²⁵. Janet L. Abu-Lughod, Before European Hegemony: The World System AD 1250–1350 (New York, & Oxford, UK: Oxford University Press, 1989), p.43. Also, Andrew M. Watson, Agricultural Innovation in the Early Islamic World (Cambridge, UK: Cambridge University Press, 1983), p.22.

ლარული და მნიშვნელოვანი ტექსტილი, რომლის კულ-ტივირებაც ფართოდ განვითარდა, როგორც მუსლიმურ, ასევე ევროპულ ქვეყნებშიც. დისტრიბუციის შედეგად, ის იქცა უმთავრეს სავაჭრო პროდუქტად, რომლის ჰა-ბიც ბალდადი იყო.

სოფლის მეურნეობის ყველა ეს პროდუქცია ისლა-მამდე საუკუნეებით ადრე არსებობდა აზიასა და აფრი-კაში, მაგრამ სწორედ ამ ცივილიზაციამ ითამაშა უდიდე-სი როლი მათი ასორტიმენტის ზრდასა და გავრცელება-ში. ისლამურმა ცივილიზაციამ გაავრცელა ისინი მსოფ-ლიოს არაერთ მხარეში. ზემოთქმული მეტყველებს, რომ ისლამმა უზრუნველყო ინდივიდუალური და საზოგადო-ებრივი განვითარება და სრულყოფა, მსგავსად ადრეუ-ლი ცივილიზაციებისა – ეგვიპტე, მესოპოტამია და ჩინე-თი ისლამის მსგავსად უფრო მეტად განვითარებისაკენ ისწრაფოდნენ, ვიდრე ექსპანსიისაკენ.

მუსლიმურმა ხელისუფლებამ ასევე გაამარტივა ადამიანებისა და პროდუქციის გადაადგილება თავისი კანონების, საერთო ვალუტის, აგრეთვე წონისა და ზო-მის ერთეულების მიღების წყალობით. მან განავითარა გზების და ქარავნის მარშრუტების ქსელიც. მუსლიმმა ინჟინრებმა ხელი შეუწყვეს ახალი სარწყავი სისტემების დანერგვასა და ტექნოლოგიების განვითარებას საათე-ბის, ქარის ნისქვილების, დისტილაციის, მინის, სუნამოე-ბის, ხალიჩებისა და მრავალი სხვა პროდუქციის წარმოე-ბაში. საერთო ჯამში, მუსლიმურმა იმპერიამ მრავალი საუკუნის მანძილზე უზომო გავლენა მოახდინა ევროპე-ლების, აფრიკელების, არაბებისა და აზიელების კომერ-

ციულ ცხოვრებაზე. მუსლიმების წარმატებამ რელიგიისა და კულტურის გავრცელებაში საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკურ ექსპანსიასაც. სავაჭრო გარიგებებში გამოჩენილმა მეგობრულმა განწყობამ მუსლიმურ ტექნოლოგიებს, პროდუქტებსა და ენას საშუალება მისცა შეეღწია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

01ავტომატიზაცია

ისლამური სწავლების აყვავება

ისლამური თემის გამობრძმენდასთან ერთად, გაიზარდა შეძენილი ცოდნის დონეც და ეს ძალისხმევა განსაკუთრებით წარმატებული იყო ‘აბასინთა სახალიფოს ბრწყინვალე საუკუნის განმავლობაში. ამ პერიოდისათვის მუსლიმებმა დაიწყეს წიგნების წერა, უპირველეს ყოვლისა, ყურანსა და სხვა რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით, შუამავლის ბიოგრაფიის ჩათვლით. სწორედ აღნიშნულ პერიოდში ითარგმნა უცხო ერების ყველაზე მეტი ნაშრომი არაბულ ენაზე, მათ შორის სპარსულიდან და ბერძნულიდან. მოგვიანებით არაბული იქცა სწავლების ენად დასავლურ უნივერსისტეტებში, ირანულმა სპარსულმა კი ისესხა მრავალი არაბული სიტყვა.

სასწავლო დაწესებულებებსა და ბიბლიოთეკებში, როგორიცაა ირანში მდებარე გუნდეშაპური, მუსლიმურ ეპოქაშიც გაგრძელდა კვლევები. შეიქმნა ასევე მდიდრული კერძო ბიბლიოთეკები სახლებში. ესპანეთში ხა-

ლიფა ალ-ჰაქამ II-ს თავის ბიბლიოთეკაში 400000 წიგნი ჰქონდა. უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმა, მათ შორის ალ-აზჰარის უნივერსიტეტმა კაიროში, დაწერგა აკადემიური ტრადიციები, რომლებიც დღესაც კი გამოიყენება პრაქტიკაში, განსაკუთრებით დასავლეთში.

ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდი იყო პირველი ხალიფა, რომელიც გახდა მსოფლიოს დონის სახელმწიფო მოღვაწე. მისი მმართველობის დროს ბალდადმა დაიმსახურა ისლამის ოქროს ხანის ცენტრის წოდება. არ-რაშიდის სახელის გავარდნამ მთელ მსოფლიოში აქცია ის „არა-ბული ღამების“ (ათას ერთი ღამე) ლეგენდარულ პერსონაჟად. მსგავს მასწავლებლებთან განათლების მიღების შემდგომ არ-რაშიდის ვაჟიმშილმა და მემკვიდრემ ალ-მა'მუნმა წარმატებას მიაღწია სამართალში, ფილოსოფიაში, რიტორიკასა და მეცნიერებაში. ხალიფის წოდების მიღების შემდგომ მან დააარსა „სიბრძნის სახლი“ ბალდადში, რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხიდან იზიდავდა სწავლულებს და მალევე იქცა კვლევების, ასტრონომიისა და ბერძნული, სირიული, სპარსული და სანკრისტული ნაშრომების თარგმნის ცენტრად. ბერძნული თხზულებების არაბიზებულმა ვერსიებმა საბოლოო ჯამში მიაღწია ლათინურ ევროპას და გამოაღვიძა ინტერესი არისტოტელესა და ზოგადად, ბერძნული ტექსტების მიმართ. მათი თარგმანის დროისათვის დასავლეთი, როგორც ასეთი და „კლასიკური საბერძნეთის“ იდეა ჯერ არ არსებობდა.

ქალებმა წარმატებას მიაღწიეს ცოდნის მიღებაში.

ისინი სწავლობდნენ ყურანს, სამართალს, თეოლოგიას, ხელოვნებასა და მედიცინას. ბებიაქალობა განსაკუთრებით მოთხოვნადი პროფესია იყო, თუმცალა ქალები აქტიურად ეუფლებოდნენ ცოდნას მედიცინის სხვა დარგებშიც და ხდებოდნენ წარმატებული ქირურგები და მკურნალები. მრავალმა ქალმა პატივისცემა დაიმსახურა სწავლებასა და სხვა სფეროებში. წარმატებულ ქალებს შორის იყო 17 მმართველი და ადმინისტრატორი, 9 ორატორი, 4 მეჩეთისა და სხვა საჯარო დაწესებულების მშენებელი, 42 თეოლოგი, 23 მუსიკოსი და 76 პოეტი. ხალიფას ცოლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პოეტურ ხელოვნებაში.²⁶

იმამ ალ-ღაზალი თავისი დროის განსწავლულობისა და გამოცდილების ბრნინვალე ნიმუშად და ისლამური თეოლოგიის უდიდეს სწავლულად არის აღიარებული. იბნი ხალდუნი, სოციოლოგიის ფუძემდებელი და სოციალური მეცნიერების პიონერი, გახლდათ კიდევ ერთი უდიდესი ინტელექტუალი, რომელსაც ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. არნოლდ ტოინბი აღწერს მის „მუკადდიმას“ („შესავალი“- მონუმენტური ნამუშევარი უნივერსალურ ისტორიაზე) როგორც ისტორიის ფილოსოფიას და თავის დარგში ყველაზე მასშტაბურ ნამუშევარს.²⁷ იბნ ხალდუნი ფართოდ შლის პერსპექტი-

^{26.} A.M.A. Shustery, Outlines of Islamic Culture (Lahore, Pakistan: Sh. Muhammad Ashraf, 1976), p.325.

^{27.} Arnold Toynbee, A Study of History (London: Oxford University Press, 1961), vol.10, pp.64–86, vol.9, pp.175–182.

ვას, სამყაროს შექმნის დღიდან უკანასკნელი წლების მოვლენების ჩათვლით, მათ შორის აღწერს ბიბლიური, სპარსული, ბერძნული და რომაული პერიოდის მოვლენებს, ისე როგორც არაბების ისტორიასაც.

არაბული ენის გამოყენება სწავლებაში გრძელდებოდა დასავლეურ უნივერსიტეტებში და იყო ხელმისაწვდომი დასავლელი მეცნიერებისათვის, განსაკუთრებით კორდოვის მუსლიმურ სასწავლო ცენტრში. აღნიშნული პერიოდის დასავლელი მეცნიერები თავისით ვითარდებოდნენ და ემიჯნებოდნენ ეკლესიის მიერ კონტროლირებად სასწავლო დაწესებულებებს. ისლამური ცივილიზაციის გენია გამოიხატება იმაში, თუ როგორ იყენებდა ის სხვა კულტურებისაგან შეძენილ ცოდნას, როგორ შექმნა საკუთარი ინტელექტუალური გარემო და შეიტანა თავისი წვლილი კაცობრიობის ცოდნის გაღრმავებაში. ინტელექტუალური საქმიანობა იყო ისლამური ცივილიზაციის მუდმივი თანმხლები მოვლენა.

თავი მეცხრე

მეცნიერებები

ყურანი მკაცრად უსვამს ხაზს ბუნების სილამაზესა და ღმერთის სასწაულების არსებობას ფიზიკურ სამყაროში. ძალიან ბევრგან ყურანი ახსენებს ბუნებისა და მეცნიერების ელემენტებს და აკავშირებს მათ ღმერთის ქმნილებასთან, ახალისებს კიდეც სამეცნიერო კვლე-

ვებს.²⁸ ყურანი ყურადღებას ამახვილებს მტკიცებულებებზე ბუნების წიაღიდან და ხაზს უსვამს „თაკდირს“ ანუ „ზომას“: რაოდენობისა და ხარისხის უკიდურესობების დაბალანსება ერთისა და მეორის უგულებელყოფის გარეშე.²⁹

ადრეული მუსლიმი მეცნიერები ყურანის ინტერპრეტაციაზე და აღწერილობაზე დაყრდნობით უკვე მივიდნენ დასკვნამდე, რომ დედამინა მრგვალია. რენესანსამდე ევროპელები უარყოფდნენ ამ ფაქტს და აგრძელებდნენ იმის მტკიცებას, რომ დედამინა ბრტყელი იყო.³⁰ მუსლიმურ ესპანეთში მუსლიმმა და ებრაელმა ასტრონომებმა უარყვეს პტოლემეს თეორია არისტოტელეს ნაშრომების სასარგებლოდ. მუსლიმმა ასტრონომებმა შეასწორეს პტოლემეს პლანეტარული მოდელი, რათა ის ყოფილიყო მუსლიმური აღმანახის (კალენდრის) ცხრილის შესატყვისი და აღიარეს სხვა პლანეტარული სისტემების არსებობა.³¹ მუსლიმებმა ასევე გამოითვალის დახურული მრუდი „PI“-ის გამოყენებით გაცილებით ადრე, ვიდრე გაეცნობოდნენ ბერძნულ გეომეტრიას.

²⁸. ყურანი- 21:30, 24:45, 25:53-54, 34:9, 41:11.

²⁹. ყურანი- 25:2, 54:49 და სხვა ვერსიები

³⁰. Colin A. Ronan, *Science: Its History and Development Among the World's Cultures* (New York: Facts on File Publications, 1982), p.203.

³¹. J. Casulleras and J. Samso (eds.), *From Baghdad to Barcelona: Studies in the Islamic Exact Sciences in Honour of Prof. Juan Vernet*, 2 vols. (Barcelona: Barcelona University, 1996), vol. 1, p.479.

დაპყრობების შემდგომ მუსლიმებმა შეინარჩუნეს ბიზანტიური და სპარსული სამეცნიერო ინსტიტუციები. გუნდეშაპური გახდა მუსლიმური სამყაროს სამეცნიერო ცენტრი და მისმა სწავლულებმა მიაღწიეს დამასკოს, უმაიანების დედაქალაქს. ისლამური მეცნიერება დომინირებდა მსოფლიოში საუკუნეების მანძილზე და გაიფურჩქნა აბასინთა მმართველობის დროს. სწავლულები ინდოეთიდან, ბიზანტიის იმპერიიდან და სპარსეთიდან იყრიბებოდნენ ბალდადში, რათა ესწავლათ მუსლიმ სწავლულებთან. ყველა სამეცნიერო ნაშრომი იწერებოდა მეცნიერებათათვის მანამდე უცნობ ახალ ენაზე. ყველაფერი არაბულ ენაზე ითარგმნა მანამ, სანამ მოხდებოდა მათი ინტერპრეტირება. ამან ხელი შეუწყო ახალი ტერმინოლიგიების დანერგვასა და უფრო დიდ კრეატიულობას.

მიღწევები ასტრონომიაში დიდად უწყობდა ხელს მოგზაურებს, რომლებსაც ესაჭიროებოდათ თანავარსკვლავედების და ვარსკვლავების ადგილმდებარეობის ცოდნა, რათა არ ასცდენოდნენ დადგენილ მარშრუტს და გამოეთვალათ დრო. მთვარე ასევე უდიდეს როლს თამაშობდა არაბების ცხოვრებაში. მათ გამიჯნეს ვარვსკვლავების 28 თანამიმდევრული ჯგუფი, ცნობილი, როგორც „მთვარის ფაზები“. მთვარის პოზიცია ამ ფაზების მიხედვით ავლენდა, თუ წლის რომელი სეზონი იდგა.³² მუსლიმურმა ესპანეთმა ასწავლა დასავლეთს,

³². Akbar S. Ahmed, *Discovering Islam: Making Sense of Muslim History and Society* (London & New York: Routledge, 1988), pp.238–346.

რომ დედამინა სფეროა და გადასცა ისეთი ლირქტული ცოდნაც, როგორიცაა ასტრონომიული ცხრილები.

ქიმია, როგორც მეცნიერება, მუსლიმურ სამყაროში განვითარდა ისლამის ზეგარდმოვლენიდან საუკუნე-ნა-ხევრის შემდეგ. მუსლიმებმა მოიპოვეს მნიშვნელოვანი წარმატებები მათემატიკაშიც, ასევე საყურადღებოა, მუჰამად იბნ მუსას ალგორითმი, ალგებრის განვითარება, გეომეტრიული ამოხსნები, გრადუსის გაზომვები და ტრიგონომეტრიული ცხრილები.³³ ისლამური მეცნიერება განვითარდა სხვა ცივილიზაციების მიმართ გახსნილობის წყალობით, განსაკუთრებით კი სპარსეთის, ინდოეთის და ანტიკური საბერძნეთის მიღწევების მიმართ. მუსლიმური მმართველების მხრიდან მთარგმნელობითი საქმიანობის წახალისება დიდ მნიშვნელობას ასრულებდა, რის შედეგადაც ისლამურმა მეცნიერებებმა ზეგავლენა მოახდინეს რენესანსზე.

თავი მეათე

მედიცინა

ისლამის პირველი წლების განმავლობაში, ჩინეთი, ინდოეთი, საბერძნეთი და სპარსეთმა დაწინაურებულები იყვნენ მედიცინაში. ბერძენი სწავლულები დასახლდნენ

³³. George Sarton, *Introduction to the History of Science*, 3 vols. Vol.1, From Homer to Omar Khayyam (Baltimore, MD: Williams & Wilkins for the Carnegie Institute of Washington, 1927; repr. 1962), p.666.

გუნდეშაპურში, სპარსეთის მოწინავე სასწავლო ცენტრში, რომელმაც არაერთი ექიმი შესძინა არაბულ და სპარსულ სამყაროს. რამდენიმე ამ ექიმთაგანი შუამავალ მუჰამადის თანამედროვეც იყო, რომელიც მათ აძლევდა საღ აზრზე დამყარებულ რჩევებს დაავადებების, ჯანსაღი კვების ჩვევებისა და ჰიგიენის შესახებ. მუსლიმურ სამყაროში მედიცინის განვითარებასთან ერთად, მომდევნო სახალიფოები სულ უფრო ეყრდნობოდნენ გუნდეშაპურელი ექიმების სამედიცინო მოსაზრებებს. მათ შორის იყო მე-9 საუკუნეში მოღვაწე სამეფო კარის ექიმი ჰუნაინ იბნ ისჰაკი. მან არაბულად თარგმნა ბერძნული ნაშრომები, დაწერა ასამდე მნიშვნელოვანი სამედიცინო თხზულება და აღზარდა მომავალი წარმატებული ექიმები.

აბასიანთა პერიოდში ყველა მეცნიერმა მიიღო გარკვეული სამედიცინო ცოდნა და მათ შორის ბევრი გახდა გამოჩენილი ერუდიტი. შექმნილი გარემო ხელს უწყობდა ცოდნის მიღებას, მეცნიერები კი ძალიან ფასდებოდნენ. მე-9 საუკუნის ადრეულ წლებში ბალდადში ცხოვრობდა 860 ლიცენზირებული ექიმი და აქ არსებობდა უამრავი საავადმყოფო და სკოლა.³⁴ ისლამური მედიცინის ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდი მოიცავს სამ უდიდეს ექიმს, ფუნდამენტური ნაშრომების ავტორებსა და ფოლოსოფოსებს: არ-რაზი, აღ-მაჯუსი და იბნ სინ. არ-რაზის ნაშრომებმა არაბული მედიცინის მოწიფულობის

³⁴. Edward G. Browne, Arabian Medicine (Lahore, Pakistan: Hijra International Publishers, 1990), p.48

შესახებ ამცნო სამყაროს. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა ჩუტყვავილასა და წითელას შორის განსხვავების დადგენა იყო. მან დაწერა 200-ზე მეტი წიგნი, მათი ნახევარი მედიცინას ეხებოდა, მათ შორის იყო ათტომიანი ტრაქტატი ბერძნული მედიცინის შესახებ.

აბტ ‘ალი ჰუსაენ იბნ სინა (ავიცენა) იყო ერთ-ერთი ყველაზე მეტად აღიარებული მუსლიმი მეცნიერი და შუა საუკუნეების გამოჩენილი ფილოსოფოსი. მუსლიმურმა მედიცინამ განვითარების უმაღლეს მწვერვალს სწორედ მისი ნაშრომებისა და სამედიცინო ნიჭიერების წყალობით მიაღწია. იბნ სინას განსაკუთრებული ადგილი მედიცინის ისტორიაში განპირობებულია მისი ისეთი შედევრით, როგორიცაა „ალ-კპნურ ფი ატ-ტიბბ“ (სამკურნალო მეცნიერების კანონი“), ხუთტომეული ცნობილი ევროპაში როგორც „კანონი“).³⁵

ისლამური ესპანეთის ადრეული საუკუნეების სწავლულები, რომლებიც მოწადინებული იყვნენ გამხდარიყვნენ ექიმები, მოგზაურობდნენ ბალდადში, კაიროში, დამასკოსა და ირანში, რათა გასცნობოდნენ იქაური უნივერსიტეტებისა და საავადმყოფოების გამოცდილებას. მოგვიანებით ისლამურმა ესპანეთმა დააარსა საკუთარი უნივერსიტეტები სამედიცინო და ფილოსოფიური ცენტრებით, რამაც მე-12 საუკუნეში ხელი შეუწყო ისლამური ექსპერტული ცოდნის შედინებას ევროპის სხვა ნაწილებშიც. ყველაზე ცნობილი ანდალუზიელი მუსლიმი

³⁵ Ahmed, Discovering Islam, p.221.

მეცნიერი იყო იბნ რუშდი, იგივე ავეროესი. მან დიდ გავლენა მოახდინა დასავლურ ფილოსოფიაზე, მაგრამ ამავე დროს წარმატებას მიაღწია როგორც მოსამართლემ, ექიმმა და ყოვლისმომცველი სამედიცინო ენციკლოპედიის ავტორმა. ედვარდ ბრაუნი წერს, რომ როგორც არაბმა, ისე არაარაბმა მუსლიმებმა ბერძნებისა-გან ქიმიასა და მედიცინის დარგში მემკვიდრეობით მი-ღებულ სამედიცინო დოქტრინის სრულქმნაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანეს. შედეგად, მუსლიმებმა მიიჩნიეს, რომ ქიმია და ბოტანიკა გაცილებით სასარგებლოა მედიკამენტების მომზადების კუთხით, ვიდრე როგორც ცალკეული დისციპლინა. სამედიცინო და ფარმაცევტული ცოდნა მუსლიმურ სამყაროში სწორების წყალობით გავრცელდა, რომლებიც სასწავლებლად ჩადიოდნენ გამორჩეულ სამედიცინო სასწავლო დაწესე-ბულებებში და იღებდნენ ცოდნას უბადლო სპეციალის-ტებისგან.

მუსლიმები ცნობილი იყვნენ თავიანთი საავადმყოფოებით. მათ პირველებმა შექმნეს საავადმყოფოს ის ეფექტური ფორმა, რომელსაც დღეს მსოფლიო იცნობს. ისლამურმა ცივილიზაციამ გამოიგონა აფთიაქი, დანერგა ფარმაცევტული ტერმინოლოგია და პრაქტიკა, ასევე მედიკამენტების მომზადების მეთოდებიც, რაც შემდგომ ევროპულმა მედიცინამაც გაიზიარა. მუსლიმური მედიცინა იყო გავლენიანი და პერსპექტიული, ხოლო შეა საუკუნეების პერიოდის ისლამური ცოდნის პარადიგმა იყო საფუძვლიანი და ყოვლისმომცვლელი ყველა მიმართულებით.

თავი მეთერთმეტე

არაბული ლიტერატურა

ლიტერატურა და ხელოვნება ისლამური ცივილიზაციის ორი მნიშვნელოვანი მუდმივი შემადგენელი ნაწილი იყო. მუსლიმური შემოქმედება ადიდებდა მათ, როგორც კაცობრიობის უდიდეს მიღწევებს და მოიცავდა მუსლიმთა მიერ არამუსლიმურ ქვეყნებში დაწერილ ნაწარმოებებსაც. მუსლიმური ლიტერატურის საფუძველი მისი ენა და გამოყენების სახე იყო. ყველა კულტურას გასხვავებული ფორმები, მეტაფორები, სიმბოლოები და მოტივები აქვს, და ეს განსაკუთრებულად თვალსაჩინოა ისლამურ კულტურასთან მიმართებაში. ისლამური ლიტერატურა ასახავს მუსლიმურ ეთოსს და აქვს გამორჩეული თვისებები: ყურანისა და ისლამის ცოდნა, ისლამადელი ლიტერატურული ტრადიციები, როგორიცაა პოეზია, ორატორული ხელოვნება, ზღაპრები, ტომების გადმოცემები, რომლებშიც ხშირად ისტორიულ ფაქტები ერწმოდა ხოლმე ლეგენდებსა და გამოჩენილი ისტორიული მოღვაწეების ცხოვრებას. დიდმა ისტორიკოსმა იბნ ხალდუნმა აღნიშნა, რომ აბუ ალ-ფარაჯის „სიმღერების წიგნი“ მოიცავს ყველაფერ იმას, რასაც არაბებმა მიაღწიეს წარსულში პოეზიის ყველა სახეობაში, ისტორიაში, მუსიკაში და ა.შ.³⁶

³⁶. Reynold A. Nicholson, A Literary History of the Arabs (Cambridge, UK: Cambridge University Press, 1966), p.323.

ისლამამდელი ისტორიებისა და ლეგენდების პრო-ტაგონისტები იყვნენ როგორც მეფეები, ისე ტომთა გმი-რები. ბედუინური ისტორიები ლექსად ითქმებოდა, ამი-ტომაც უდაბნოს გმირების ქება-დიდებისათვის ლექსის სიმღერად თქმა ტრადიციად იქცა. არაბები უდიდეს პა-ტიცს სცემდნენ პოეზიას. ყველაზე ცნობილი მათ შორის იყო „მუ‘ალლაკა“ (შვიდი ოდა – ნიშნავს ე.წ. „დაკიდე-ბულ“ შვიდ ლექსს ან ოდას, რომლებიც ლეგენდის მი-ხედვით, ოქროთი იყო ამოქარგული აბრეშუმის ქსოვილ-ზე და ეკიდა ქაბას ტაძრის გარე კედლებზე).³⁷ ბევრ არაბს დღესაც ახსოვს და ზეპირად ნარმოთქვამს მთლი-ანად კრებულს. მოგვიანებით, როდესაც ისლამმა ზეგავ-ლენა მოახდინა ლიტერატურაზე, ყურანს ხელი არ შეუშ-ლია მგოსნებისთვის განეგრძოთ თავიანთი მოღვაწეობა, მუჰამად შუამავალის ცხოვრებაშიც კი. ამასთანავე, პირ-ველი ოთხი ხალიფა უფრო მეტ ინტერესს იჩენდა პოე-ზის მიმართ, ვიდრე მუჰამად შუამავალი, რომელიც ამ-ჯობინებდა თავისი დრო დაეთმო ისეთი ნამუშევრები-სათვის, რომლებსაც საფუძვლად „კეთილშობილური ფა-სეულობები“ და ისლამური ზნეობა ედო.³⁸ უმაიანების ეპოქამ განაპირობა პოეტების მეტი კრეატიულობა და ენის დახვენა, მათ შორის იყო ლაზალი _ სატრფიალო ლექსის ახალი ფორმა. ისლამამდელი სატრფიალო პოე-

³⁷. Bernard Lewis, *Islam and the West* (New York, and Oxford, UK: Oxford University Press, 1993), pp.120–121.

³⁸. Salma Khadra Jayyusi (ed.), *The Legacy of Muslim Spain* (Leiden, The Netherlands; New York; Cologne: E.J. Brill, 1992), pp.387–396.

ზია ისლამის ზეგარდმოვლენასთან ერთად ხელახლა და-ინწრა, ის გახდა მუსიკისა და სიმღერის ნაწილი მექასა და მედინაში უმაიანების მმართველობის დროს. სატ-რფიალო პოეზიას ახასიათებდა უფრო მეტად ორაზროვ-ნება, ვიდრე თემასთან პირდაპირი კავშირი.

განვითარდა პროზაც, თუმცა ორატორული ხელოვ-ნება ჯერ კიდევ წარმოადგენდა იმ რეგიონების ძირითა-დი გამოხატვის საშუალებას, სადაც წიგნიერება ახლახან იწყებდა გავრცელებას. ძველი ლეგენდები ჩაიწერა, თუმ-ცა ყველაზე ადრეული ჩაწერილი ნაშრომები ისტორიულ ხასიათის ატარებდა. ყველაზე პოპულარული ნარატივები იყო ხშირ შემთხვევაში შელამაზებული თხზულებები ად-რეული ისლამური ომების შესახებ. იმ დროინდელი შესა-ნიშნავი პროზაული ნაწარმოებია იბნ ისჰაკის მიერ დაწე-რილი მუჰამმად შუამავალის ბიოგრაფია, დაფუძნებული იმ ადამიანებთან საუბრებზე, რომლებიც იცნობდნენ შუა-მავალს მისი ნათესავისა და კომპანიონებისაგან მიღებუ-ლი ინფორმაციის საფუძველზე. ავტორიტეტის მქონე გა-მომცემთა ჯაჭვზე, რომელიც შუამავლის ხანებამდე მი-დიოდა, დაყრდნობის მისეული მეთოდი იქნა გამოყენებუ-ლი ჰადისის, იგივე სუნას („შუამავლის გზა“) კომპილაცი-ისას, რომელიც ყურანის შემდგომ მუსლიმების ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური გზამკვლევია.

პროზის უმეტესობა, როგორიცაა ეპიკური ნაწარმო-ებები გმირების შესახებ, დაინწრა აბასიანთა 500-წლიანი ეპოქის განმავლობაში და ვითარდებოდა სახალიფოს მი-ერ შექმნილი ბევრად უფრო დახვეწილი და კოსმოპოლი-ტური კულტურის ფარგლებში. ეს პროზა იყო პოეზიის

დომინანტური სტატუსისთვის ერთგვარი გამოწვევა. აუ-ცილებელია განვასხვავოთ უმაიანთა ხანის არაბულ-ის-ლამური ლიტერატურა აბასიანთა ხანის ლიტერატურისა-გან. აბასიანთა მმართველობამ, განსაკუთრებით პირველი ნახევრის მანძილზე, დიდი ცვლილებები გამოიწვია ლი-ტერატურაში, ფილოსოფიაში, მეცნიერებასა და ხელოვ-ნებაში. ლიტერატურული პროზა დომინირებდა, თუმცა პოეზია ჯერ კიდევ სარგებლობდა დიდი პატივისცემით და უფრო დაიხვეწა კიდეც განსწავლულობის ზრდასთან და სხვა კულტურებთან, განსაკუთრებით კი სპარსულ კულტურასთან ფართო კონტაქტების წყალობით.

ამ ადრეული ლიტერატურული პერიოდის ყველა ნაწარმოებიდან ყველაზე პოპულარული და სახელგან-თქმული იყო მოთხრობათა კრებული „ათას ერთი ღამე“. მრავალი მოთხრობა ითარგმნა სპარსულიდან და ბედუი-ნების შესახებ. ისტორიებსა და არაბულ ხალხურ სიმღე-რებთან ერთად ხშირად მუსლიმებისთვის სასწავლო ამ-ბებიც იყო შეტანილი. ამ პროცესმა ხელი შეუწყო ზღაპ-რების თავმოყრას და გაცილებით ღრმა მნიშვნელობა შესძინა მათ.³⁹

პროზაული სტილის მიმართ მომატებულმა ინტე-რესმა გამოიწვია კომპოზიციის ახალი ფორმის ჩამოყა-ლიბება, რომელსაც „მაკამათი“ ერქვა. ეს იყო პროზის

³⁹. H.T. Norris “Fables and Legends,” in Julia Ashtiany, T. Johnstone, J. Latham, R. Serjeant, and G. Rex Smith (eds.), *The Cambridge History of Arabic Literature: ‘Abbasid Belles-Lettres* (Cambridge, UK: Cambridge University Press, 1990), pp.137–138.

დრამატული ჟანრი, მინიშნებებითა და ორაზროვნებით. აპმად ალ-ჰამაზნის „მაკამთ“ (მაკამები) თავიდანვე ითვლებოდა არაბული ენის ყველაზე დიდ საუნჯედ ყურანთან ერთად.⁴⁰ აბასინთა პერიოდში პოეზია გამოირჩეოდა სიუხვით, იყო გაცილებით ღრმა შინაარსის მატარებელი და მანამდე არარსებული ტექნიკისა და სტილის მქონე.

თავი მეთორმეტე

სპარსული ლიტერატურა

ირანს უდიდესი წვლილი მიუძღვის ისლამური ცივილიზაციისა და მისი კულტურის განვითარებაში არაბული სამყაროს მიღმა. უამრავი ირანული წარმოშობის მეცნიერი შესულია არაბული ცივილიზაციის ისტორიაში, რადგანაც ისინი წერდნენ არაბულ ენაზე. სპარსული ენის ალორძინების შემდგომ ალმოცენდა სპარსული ლიტერატურა და მალევე დიდებასა და ბრწყინვალებას მიაღწია. სპარსული ლიტერატურის ოქროს ხანა ირანის და ისლამური კულტურის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი პერიოდია. სახელგანთქმული პოეტების, მათ შორის რუმის, სა'ადისა და ჰაფეზის თხზულებები ითარგმნა უამრავ ენაზე და დიდად იყო დაფასებული გამოჩენილი დასავლელი ავტორების მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც არაბული, ისე

⁴⁰. Reynold A. Nicholson, A Literary History of the Arabs (Cambridge, UK: Cambridge University Press, 1966), pp.429–430.

სპარსული მდიდარი ენებია, ისლამის პირველ ხანებში არაბული მეტწილად ზეპირსიტყვიერებაში გამოიყენებოდა, მაშინ, როდესაც უკვე არსებობდა სპარსულ ენაზე დაწერილი არაერთი ლიტერატურული ნაწარმოები, მათ შორის ეპიკური ჟანრის. სწორედ ეს ჟანრი გახდა ისლამური ლიტერატურის შემადგენელი ნაწილი. ისლამის ზეგარდმოვლენამ შეცვალა სპარსული ენა, ფალაური ანბანი ჩაანაცვლა არაბული დამწერლობით და დაუმატა რამდენიმე თანხმოვანი ბგერა. არაბულმა და ყურანმა კიდევ უფრო გაამდიდრა არსებული სპარსული ლექსიკა.⁴¹ მუსლიმებმა, განსაკუთრებით კი აბასიანებმა ბევრი რამ გაითავისეს ირანული კულტურისაგან, მაგრამ ამავე დროს ბევრი რამ შესძინეს მას.

თუკი ირანელებმა არაბულად თარგმნეს ბევრი ნაშრომი სხვა ენებიდან, არაბებმა ირანელებს უწილადეს თავიანთი ლექსიკის მარაგი, გააცნეს მათ ისლამი და პოეზიის მათეული ფორმები. ირანელებში არაბული „კასიდა“ იყო ადრეული დომინანტური ფორმა თავისი სახოტბო სტილის გამო, რომელზე დაყრდნობითაც ირანელებმა შექმნეს და დახვეწეს ახალი ლირიკული ფორმატი, სახელად „ყაზალი“. ირანელების მიერ შექმნილი მესამე პოეტური ფორმა იყო „რუბა‘იდა“ ანუ ოთხტაეპიანი ლექსი, რომელიც მოგვიანებით გახდა ცნობილი ‘უმარ ალ-ხაშამის (სპ. ომარ ხაიამის) პოეზიის ინგლისურ ენაზე თარგმნის შემდგომ. მიუხედავად ოთხტაეპია-

⁴¹. Manoochehr Aryanpur, A History of Persian Literature (Tehran: Kayhan Press, 1973), pp.70, 72, 73.

ნი შეზღუდვისა პოეზიის ეს ფორმა იქცა სპარსული პოეზიის დიდი ნაწილის მამოძრავებელ ძალად. ირანული „მასნავი“ იყო ერთმანეთთან რიტმით დაკავშირებული ორსტრიქონიანი ლექსების სერია. ამ ფორმით დაწერილი ზოგიერთი ნაწარმოები მოიცავდა ათასამდე სტრიქონს, მაგალითად რუმის მასნავი.

სპარსული ლიტერატურის პროზაული სტილი განვითარდა არაბულიდან თარგმნის დაწყების ადრეული პერიოდიდანვე. ფარსიმ (სპარსულმა) დაიმსახურა დიდი აღიარება, როგორც პოეზიის ენამ და სწორედ ამიტომ იყო სპარსული ლიტერატურის ოქროს ხანის დომინანტი ენა მთელი 500 წლის განმავლობაში, როდესაც ერთი ნარმატებული პოეტი მეორეს ცვლიდა. მათ თანამედროვე ირანში უდიდეს პატივს სცემენ. მსოფლიო მასშტაბით ცნობილ ირანელ პოეტებს შორისაა ფირდოუსი, რომლის „შაჰნამე“ შეიცავს 60 000 კუპლეტსა და აღიარებულია ყველაზე ღირსშესანიშნავ სპარსულ ეპიკურ ნაწარმოებად. რამდენადაც ფირდოუსი თავს იკავებდა არაბული სიტყვების გამოყენებისგან, მისი თხზულება სპარსული მწერლობის ნიმუშებს შორის ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელშიც თითქმის მთლიანად მხოლოდ სპარსული ლექსიკა გამოყენებული.

სუფიურმა პოეზიამ ასევე განვითარდა და მიაღწია აპოგეას ამ პერიოდისათვის. რუმი მიიჩნეოდა ისლამის უდიდეს მწერლად. ის ასევე ცნობილია, როგორც „უზენაესი მისტიკოსი“ და სპარსული მისტიკიზმის უბადლო მაგალითი. რუმი იყო ზეიმის თაყვანისმცემელი სუფი და

ის ხოტბას ასხამდა სიყვარულსა და ცხოვრებისეულ სასწაულებს. ის საქვეყნოდ ცნობილი იყო როგორც მაულანა, რაც „ჩვენს ბატონს“ ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ ის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მონღოლების შემოსევებისა და ამის თანმდევი ნგრევის პერიოდში, მან მაინც შეძლო თავისი ცივილიზაციის რაობის შენარჩუნება ყურანისა და ისლამის შესწავლით, ასევე თავისი მოძღვრებისა და მოგზაურობების წყალობით. საადი ასევე დიდადადა დაფასებული და მიჩნეულია საუკეთესო სპარსელ პოეტად. მისი მონათხრობი ატარებდა მორალურ და ეთიკურ ფარულ აზრს და გადმოიცემოდა როგორც პროზაულად, ასევე ლექსების სახით. ჰაფეზი – კიდევ ერთი უდიდესი ოსტატი კალმისა, რომელიც მოღვაწეობდა ახ.წ. მე-14 საუკუნეში, ცნობილი იყო, როგორც ყაზალის ყველა დროის საუკეთესო მწერალი. სხვა ირანელ პოეტებს შორის. ჰაფეზი ყველაზე ოსტატურად იყენებდა პოეტური ხერხების ფართო ნაირსახეობას.

მე-15 საუკუნის ბოლოს სპარსული ენა და ლიტერატურა გავრცელდა ინდოეთში და ზეგავლენა მოახდინა იქ მცხოვრები მუსლიმების ენასა და ლიტერატურაზე. ამან ხელი შეუწყო ახალი ინდური ენის – ურდუს შექმნას, რომელიც ინდოარიულიდან (სანკრიტიდან) წარმოიშვა. ამ ორი ახალი ენის წყალობით მოგოლებმა შექმნეს საკუთარი ცივილიზაცია და მდიდარი კულტურა, რომელმაც თავის მხრივ გავლენა იქონია სპარსულ ლიტერატურაზე. სპარსულმა ენამ და ლიტერატურამ უპრეცენდენტო საგანძურო შემატა ისლამის ლიტერატურული ხელოვნების ტრადიციას.

თავი მეცამეტი

ხელოვნება

ესპანეთის ორი ულამაზესი მოწუმენტი კორდოვას დიადი მეჩეთი და ალჰამბრა გრანადაში ისლამური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებია: ეს შენობები ღია, ნათელი, ფერთა სიუხვით გამორჩეული და დიდებულია; მდიდარია არაბესკებით, კალიგრაფითა და გეომეტრიული მოხატულობით. ყურანის ბევრ ნაწილში ხაზგასმულია სილამაზე.⁴² მუსლიმებმა მიიღეს ღმერთის მიერ ბოძებული სილამაზე და ამკობდნენ ყურანსა და მეჩეთებს, ქმნიდნენ უნიკალურ ისლამურ ვიზუალს. დღევანდელ მუსლიმურ სამყაროში თვალსაჩინოა მდიდრული დიზაინი და დეკორაციული ხელოვნება, ულამაზესი კალიგრაფია, წიგნების ილუსტრაციები, მინიატურული ფერწერა და ილუმინირებული ხელნაწერები. არაბესკა გეომეტრიული დიზაინით წარმოადგენს ისლამის ყველაზე უფრო განმასხვავებელ ესთეტიურ ფორმას.

მუსლიმებს არ დავიწყებიათ წინაისლამურ ხანაში არსებული ხელნაკეთი ნივთების წარმოების ხელოვნება. ისინი განსაკუთრებით განაფულები იყვნენ ხალიჩების ქსოვაში, რომლებიც ახლა უკვე ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა მასალისა და წარმოების ზრდის გამო. მეჩეთების ინტერიერი მალევე მთლიანად დაიფარა ხალი-

^{42.} ყურანი- 7:31-32, 16:8, 16:13, 50:7.

ჩებით. მომთაბარეები იყენებდნენ ხალიჩებს საყოფაცხოვრებო ნივთების გადასატანად. სალოცავი ხალიჩა ყველაზე ფართოდ გამოიყენებოდა სრულიად მუსლიმურ სამყაროში. ევროპული რენესანსის დასაწყისიდანვე ხალიჩები მუსლიმური სამყაროდან შემოსული ყველაზე სასურველი საქონელი გახდა. ისინი ფასობდა მდიდრული დიზაინის გამო და ხშირად ჩართული იყო წამყვანი ევროპელი მხატვრების ნახატებში.

კერამიკისა და შუშის წარმოების სფეროში მუსლიმებმა ხელახლა გამოიგონეს კალის მოჭიქვის ხერხი, რომელიც ევროპაში დანერგვის შემდგომ იქცა დასავლური კერამიკის წარმოების წამყვან ტექნიკად. მუსლიმებმა ასევე დაამატეს მეტალის გამოყენებაც მოჭიქვაში, რათა მიეღოთ უფრო ბზინავი და ნაირფერი კერამიკა. მუსლიმთა ეს ტექნიკა შევიდა ევროპაში ესპანეთისა და იტალიის გავლით. თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში იტალია ყიდულობდა მოჭიქულ და კერამიკულ ჭურჭელს მუსლიმებისგან, რათა მოერთო თავისი ეკლესიები. მუსლიმური სამყარო, სავარაუდოდ, შეუა საუკუნეების ერთადერთი ცივილიზაცია იყო, რომელიც აწარმოებდა მხატვრული თვალსაზრისით უმაღლესი ხარისხის მინასა და მთის ბროლს. მინა ფართოდ გამოიყენებოდა, როგორც პრაქტიკული დანიშნულებით, ასევე მორთულობის სახით. მეორე ტექნიკა, მინანქარი, გამოიყენებოდა ოქროს გამოყენებით ან მის გარეშე.

სპეციალისტები, რომლებიც ეცნობიან ისლამურ ხელოვნებას, განსაკუთრებულ სიამოვნებას იღებენ ისლამური მინიატურული ფერწერის დახვენილობისგან,

რომელიც საუკეთესო სახითაა წარმოდგენილი სპარ-სულ, მოგოლურ და თურქულ ფერწერაში. მათი დეტა-ლები საგულდაგულოდ გათვლილი და დახვენილია. მი-ნიატურული ფერწერა ასევე ასახავს ისლამური ხელოვ-ნების სხვა ასპექტებსაც, ხუროთმოძღვრებას, კალიგრა-ფის ხელოვნებას, ბალების გაშენებას, ხალიჩებისა და ტანსაცმლის წარმოებას. ამ ყველაფრის შექმნას დიდი რესურსი ხმარდებოდა ხოლმე, რადგანაც ხასხასა ფერე-ბის მისაღებად მუსლიმები იყენებდნენ ოქროსა და ძვირ-ფას ქვებს.

მუსიკა შენარჩუნდა ისლამური ხანის დასაწყისი-დანვე და პოპულარული იყო ყველა მუსლიმურ რეგიონ-ში, მათ შორის ჰიჯაზში, საიდანაც ისლამი იღებს სათა-ვეს. მუსლიმებმა გაითავისეს „ხმის ხელოვნება“⁴³ და ეს დღემდე გრძელდება, ხოლო შუამავალი განსაკუთრებუ-ლად ამახვილებდა ყურადღებას ყურანის მხატვრულ კითხვაზე. ყველაზე ადრეული მუსლიმური „მუსიკა“ პირველი ხალიფების დროს ვოკალური იყო. ხშირ შემ-თხვევაში იმპროვიზებული რეციტაციისას, ხაზი გაესმე-ოდა მხოლოდ ხმას, სიტყვების გარეშე. მუსიკა ადგი-ლობრივი კულტურების ნაწილი იყო და რადგან მუსლი-მები არ ერეოდნენ იმ ხალხთა ადათ-წესებში, ვისთანაც ჰქონდათ შეხება თავიანთი ექსპანსიის დროს, მუსიკა ხელშეუხებელი დარჩა. ადგილობრივი მუსიკის ჰანგები გარკვევით იკვეთება ტრადიციულ სიმღერებში, მელო-დიებსა და ინსტრუმენტებში.

⁴³. ‘Handasah al-Shavt’ or ‘the art of sound’.

არაპული კალიგრაფია, ისევე როგორც ხუროთმოძღვრება, მუსლიმური სამყაროს ხელოვნების მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს. ყურანის ადრეული ნიმუშები ჩაწერილი იყო გაკრული ხელით, შემდგომში კი ყურანის დამწერლობა დაიხვენა მექასა და მედინაში ისლამის პირველ საუკუნეში, რამაც დასაბამი დაუდო კალიგრაფის, როგორც ხელოვნების ფორმის, განვითარებას.⁴⁴ დამწერლობის სხვადასხვა სტილები გამოიყენებოდა როგორც მწერლობაში, ასევე შენობების დასამშვენებლად. ალაჰი ასევე იყო დამწერლობის სხვადასხვა სტილებისა და სახეობების ყურადღების ცენტრში მოქცეული. მუსლიმ ხელოვანთა გენია, განსაკუთრებით მათი, ვინც მოღვაწეობდა ისლამის ისტორიის ადრეულ ხანებში, მკაფიოდ გამოიხატება მათ მიერ გეომეტრიული დიზაინის განვითარებაში, რაც თვალნათლივ ჩანს არაბესკები. მეჩეთები ასახავს ისლამის ყველა ტიპის ხელოვნებას, გამოკვეთით კი კალიგრაფიასა და არაბესკები. ⁴⁵ არქიტექტურა – ეს ისლამური ხელოვნებაა და ის იმსახურებს სათანადო აღიარებას. შუამავლის მეჩეთი მედინაში, დამშვენებული გუმბათითა და მინარეთით, წარმოადგენდა ყველა ისლამური საკულტო ნაგებობის პროტოტიპს.

⁴⁴. Giovanni Curatola, *The Simon and Schuster Book of Oriental Carpets*, trans. Simon Pleasance (New York: Simon and Schuster, 1981), pp.28–30.

⁴⁵. Ibid., p.28

თავი მეთოთხმეტე

ოსმალეთის წვლილი ისლამურ ცივილიზაციაში

თურქებმა, განსაკუთრებით კი ოსმალებმა, თავიანთი კვალი დატოვეს ისლამური ცივილიზაციის შედარებით გვიანი პერიოდის ფორმირებასა და სრულებრივი, განსაკუთრებით კი ხელოვნებასა და არქიტექტურაში, რომელშიც ოსმალური სტილი ერწყმის ბიზანტიური და ევროპული რენესანსის სტილებს. მუსლიმ თურქთა საამიროებმა ისლამურ არქიტექტურას შესძინა ბევრი ინოვაციური ნიშან-თვისება, მათ შორის იყო ახალი ტიპის მინარეთის შექმნა, რომელიც გამორჩეულია მუსლიმური სამყაროში და განსხვავდება ადრეული ისლამური მართვულთა მინარეთებისაგან. ეს გუმბათისა და მონუმენტური კუბური სივრცის კომპინირება სიახლეს წარმოადგენდა. თავიანთ სამშობლოში, ცენტრალურ აზიაში, თურქები ცხოვრობდნენ გუმბათისებურ კარვებში, რამაც მოგვიანებით გავლენა მოახდინა თურქულ არქიტექტურასა და ორნამენტულ ხელოვნებაზე. სელჩუკების ეპოქაში მუდმივმა აქცენტმა გუმბათზე, როგორც მთავარ არქიტექტურულ მახასიათებელზე, შექმნა აუცილებელი ვიზუალური მთლიანობა შენობის გარემოსთან ინტეგრირებისათვის. მხატვრულმა ნაზავმა წარმოშვა ენერგია და შემოქმედებითი პოტენციალი, რომელიც ცალსახად ოსმალური იყო. მათი ენა თურქული იყო, მაგრამ ასევე გამდიდრებული სპარსული და არაბული დახვენილი პოეტური ნარატივის ტრადიციებითა და ლექსიკით.

ოსმალეთის იმპერია განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა მეჩეთის მშენებლობას, რადგანაც მეჩეთი ინარჩუნებდა მნიშვნელოვან როლს ოსმალეთის სახელ-მწიფოსა და საზოგადოებაში. ახ.წ. 1453 წელს კონსტან-ტინოპოლის დაცემიდან სათავეს იღებს ღრმა ბიზანტიუ-რი ზეგავლენა ისლამურ ხელოვნებასა და არქიტექტუ-რაზე. ამ ზეგავლენას მიაწერენ სულთან მეჰმეთ II-სა და სულეიმან ბრნინვალეს, ასევე ადრე არსებულ მრავალ-რიცხოვან რელიგიურ და საერო ნაგებობას, რომლებიც ოსმალეთმა მემკვიდრეობით მიიღო ბიზანტიის იმპერიი-საგან. მათ შორის იყო აია სოფიას ტაძარიც, რომელიც ოსმალებმა მემკვიდრეობით მიიღეს ბიზანტიის იმპერი-ისგან. ქალაქის დაპყრობის შემდგომ ეკლესია საიმპერიო მეჩეთად გადაკეთდა და ოსმალო არქიტექტორების შთა-გონების წყაროდ იქცა. ცენტრიდან დაგეგმარებული გუმბათოვანი საკურთხევლები გამოჩნდა იტალიასა და ოსმალეთის იმპერიაშიც, რასაც ნანილობრივ მიაწერენ რომაულ-ბიზანტიური კონკურენტი არქიტექტურის მემ-კვიდრეობის ერთდროულ აღორძინებას.

მე-19 საუკუნემდე ოსმალეთის მსოფლიო იმპერია 3 კონტინენტზე იყო გადაჭიმული. ოსმალები იყვნენ პირველები, რომლებმაც თავისუფალ მსოფლიო ვაჭრო-ბაზე გააკეთეს აქცენტი, რითიც ხელი შეუწყვეს ევრო-პული კაპიტალიზმის განვითარებას. ოსმალეთის კარ-ტოგრაფები და მწერლები იყენებდნენ იმავე წყაროებს, რომლებსაც ევროპული რენესანსის კარტოგრაფები, მათ

შორის კლასიკური ანტიკურობის ნაშრომებს, კერძოდ კი პტოლემეს გეოგრაფიას.⁴⁶

მრავალი თვალსაზრისით, ოსმალეთის იმპერია იყო ადრე არსებული ბიზანტიისა და რომის ხმელთაშუა ზღვის იმპერიების მემკვიდრე, ამიტომაც ოსმალები თავს როგორც რომის, ასევე მუსლიმური ტრადიციების გამ-გრძელებლად თვლიდნენ. აბასიანთა სახალიფოს მსგავ-სად, ოსმალეთის სამოქალაქო სახელმწიფო იყო კოსმო-პოლიტური და მრავალი კულტურის ნაზავი. მიღეთის სისტემა რელიგიური კუთვნილების საფუძველზე ჰყოფ-და იმპერიას ნახევრად-ავტონომიურ თემებად. ოსმალე-თის რელიგიური შემწყნარებლობა⁴⁷ და მგრძნობიარობა აისახა არქიტექტურაში, მეჩეთის მშენებლობასა და სას-წავლო დაწესებულებების გახსნაში. ოსმალების უნიკა-ლური კავშირი ისლამთან ყველგან თვალსაჩინო იყო, ხე-ლოვნების დარგებზე განსაკუთრებული ზრუნვა და მათი პატრონაჟი კი ფართო ზეგავლენის მატარებელი იყო.

ოსმალეთს გაფანტული ჯგუფებისაგან, ასევე ის-ლამისაგან, მემკვიდრეობით წილად ხვდა პოლიტიკური ტრადიციების მდიდრული ნაზავი. სულთნის მმართვე-ლობის სტილი მოდელირებული იყო სამართლიანი მმარ-თველის კონცეფციის საფუძველზე, რომელსაც ვხვდე-ბით თურქულ-სპარსულ და ისლამური ისტორიაში.

⁴⁶. Halil Inalcik and Cemal Kafadar, eds., Suleyman the Second and His Time (Istanbul: Isis Press, 1993), p.348

⁴⁷. Avigdor Levy, Jews, Turks, Ottomans: A Shared History, Fifteenth through the Twentieth Century (Syracuse University Press, 2003).

სულთნის ძირითად ფუნქციას თავისი ხალხის მთავრობის მხრიდან ძალაუფლების გადამეტებისაგან დაცვა წარმოადგენდა, მაგალითად, გადაჭარბებული დაბეგვრისა და კორუფციისაგან. შედეგად, ოსმალების მიერ გამოვლენილმა ტოლერანტობამ მიიზიდა არაერთი ემიგრანტი, მათ შორის ესპანეთიდან ემიგრირებული მრავალრიცხოვანი ებრაული მოსახლეობა, რომლებიც დასახლდნენ სტამბოლში.⁴⁸ ასეთი კულტურული სინთეზის წყალობითა და ინტელექტუალური და მხატვრული მიღწევების გაზიარების გზით საკუთრივ ოსმალეთმაც იქონია გავლენა ევროპის რენესანსზე, ისევე, როგორც თავად განიცადა ევროპული რენესანსის გავლენა.

თავი მეთხოთმეტე ისლამის გავლენა რენესანსზე

ევროპელებმა, რომლებსაც ყველაზე მეტად სურდათ ისლამისა და ისლამური სამყაროს განადგურება, დიდი სარგებელი ნახეს ისლამური ცივილიზაციის მიღწევების წყალობით, განსაკუთრებით კი მეცნიერებისა და მედიცინის სფეროებში. გარდა ამისა, მონღოლებმა, რომლებმაც იავარქმნეს ისლამური სამყარო და რომელთა დახმარების მიღებასაც ცდილობდნენ ჯვაროსნები ისლამის განადგურებისათვის, საბოლოო ჯამში, მიიღეს ისლამი და კიდევ უფრო განავრცეს ისლამური ცივილიზაცია შემდგომი რამდენიმე საუკუნის მანძილზე. მათ

⁴⁸. Ibid.

ასევე იტვირთეს კიდევ ერთი მუსლიმური სახელმწიფოს – მოგოლური ინდოეთის შექმნა, რომელმაც სეფიანთა ირანსა და ოსმალეთთან ერთად შეძლო ისლამური ცივილიზაციის შენარჩუნება ევროპელი კოლონიზატორების მოსვლამდე.

ისლამურმა საზოგადოებამ ძლიერი გავლენა მოახდინა მეცნიერებაზე, მედიცინაზე, ფილოსოფიასა და ლიტერატურაზე ევროპაში. ევროპული სამედიცინო პრაქტიკა დიდწილად ემყარებოდა ისლამურ მედიცინას, ებრაელი და მუსლიმი ექიმების გამოცდილებასა და სიბრძნეს. დასავლური მედიცინა ისლამური მედიცინის ერთგვარი გაგრძელება იყო მრავალი საუკუნის მანძილზე. დასავლეთი მუდმივად სწავლობდა მუსლიმებისგან, თუმცადა სიტყვიერად უარყოფდა მედიცინის სფეროში ცოდნის მუსლიმური სამყაროსგან მიღებას. ისლამურმა მედიცინამ მიიღო ლიტერატურული დადასტურება ინგლისურენოვან სამყაროში ჩოსერისა და შექსპირის მეშვეობით.

მუსლიმურმა ცოდნამ დასავლეთში ესპანეთისა და იტალიის აკადემიური ცენტრების, ჯვაროსნული ლაშქრობების დროს გავრცელებული იდეებისა და თარგმნილი დოკუმენტების მეშვეობით შეაღწია. ბევრი ავტორი-ტეტული მკვლევარი ასევე ამტკიცებს, რომ ევროპა გაეცნო ბერძნულ ფილოსოფიას სწორედ ისლამური ცივილიზაციის წყალობით. მუსლიმი მეცნიერების კომენტარები საკვანძო მნიშვნელობას ატარებდა და მუსლიმები კიდევ უფრო წინ წავიდნენ, რადგანაც თავიანთ აზროვნებას აფუძნებდნენ ფილოსოფიასა და მედიცინას შორის

არსებულ ძალიან მჭიდრო კავშირზე. რენესანსსა და რეფორმაციამდე არაბული, სავარაუდოდ, იყო ენა, რომლი-დანაც მსოფლიოში ყველაზე ხშირად თარგმნიდნენ.

ისლამური ცოდნის უმეტესი ნაწილი ევროპაში შევიდა მუსლიმური ესპანეთიდან, რომელიც საუკუნეების განმავლობაში უფრო ახლო აღმოსავლეთის მუსლიმურ ქვეყნის მსგავსი იყო. ბევრმა არამუსლიმმა მიიღო მუსლიმური სახელი, გაითავისა მუსლიმური ჩაცმულობა და ჩვეულებები. ისინი უმეტესწილად იყენებდნენ არაბულ ენას პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მუსლიმი, ეპრაელი და ქრისტიანი სტუდენტები, კარლოს დიდის ჩათვლით, სასწავლებლად მიემართებოდნენ ესპანეთის ისლამურ უნივერსიტეტებში.

მე-12 საუკუნეში, ისლამის ზეგადმოვლენიდან ხუთასი წლის შემდეგ, დაიწყო არაბული ნაწარმოებების თარგმნა ლათინურ ენაზე, მათ შორის იყო პოპულარული ლიტერატურაც, თუმცა ძირითად ნაწილს სამეცნიერო, სამედიცინო და ფოლოსოფიური ნაწარმოებები შეადგენდა. მე-13 საუკუნის ბოლოს ევროპა სრულად გაეცნო არაბულ მეცნიერებასა და ფილოსოფიას. მიუხედავად ამისა, ქრისტიანულ ევროპას არ სურდა ისლამური სწავლების აღიარება და ამ ნაწარმოებების შინაარსის საფუძვლებს ბერძნებს მიაწერდა.

ფილოსოფოსი ალ-ფარაბი დაეხმარა ევროპას ცოდნის ძიებაში, მუსლიმები, ეპრაელები და ქრისტიანები სწავლობდნენ მის ნაშრომებს ფილოსოფიის სირთუ-

ლეგის გაგების მიზნით.⁴⁹ ალ-ფარაბის გავლენა დასავ-ლურ აზროვნებაზე შთამბეჭდავი იყო, ისე როგორც ის-ლამის წვლილი ქრისტიანობაში. მისმა ნაწარმოებებმა, რომლებიც ემყარებოდნენ ყურანს, უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ალბერტ დიდსა და თომა აქვინელზე. მისი შრომები ასევე გამოყენებოდა არისტოტელესა და ის-ლამური ფილოსოფიის ქრისტიანობასთან შერიგებისათვის.⁵⁰

ლიტერატურა ისლამური ცივილიზაციის დასავ-ლეთზე გავლენის უმთავრესი სფერო იყო. შუა საუკუნე-ებსა და რენესანსის ეპოქაში არაბული ლიტერატურა ქრისტიანულ სამყაროზე გარე ზეგავლენის მოხდენის მთავარი იარაღი იყო. ასევე, პირველი ათასი წლის გან-მავლობაში ევროპა ეცნობოდა ისლამს თითქმის ექ-სკლუზიურად არაბული ლიტერატურის მეშვეობით. მიუ-ხედავად ამისა, ისლამური სწავლების დამახინჯება ევ-როპაში დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობების დროს და გაგრძელდა შემდგომაც. ჯვაროსნული ლაშქრობების წა-რუმატებლობის შემდეგ, ქრისტიანები ცდილობდნენ მონლოლებთან ალიანსის შექმნას, რათა ერთობლივად შესძლებოდათ მუსლიმური სამყაროს განადგურება და ისლამის მოსპობა. ამასთანავე, ყველა ცივილიზაციამ,

⁴⁹.Muhsin Mahdi, 'Islamic Philosophy', in The New Encyclopaedia Britannica, Macropedia, (Chicago, IL: Encyclopaedia Britannica Inc., 1987), vol.22, pp.24– 25.

⁵⁰. Eugene A. Myers, Arabic Thought and the Western World (New York: Frederick Ungar Publishing, 1964), p.30.

მათ შორის დასავლურმა, დიდად ისარგებმა ისლამური ცივილიზაციის მიღწევებით და ისლამმა უდიდესი კულტურული გავლენა იქონია ქრისტიანულ სამყაროზე.

ამ მიზეზების გამო, არაბულიდან ევროპულ ენებზე შესრულებულმა თარგმანებმა, ისევე, როგორც უზარმაზარმა ცოდნამ, რომელიც დასავლეთმა შეიძინა მუსლიმებისაგან, თუნდაც როგორც ძველი ბერძნული და აღმოსავლური მეცნიერების ცოდნის დანამატი ან გაგრძელება, საბოლოო ჯამში, უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა რენესანსსა და თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის განვითარებაში.

ავტორები

აპმედ ესსა, გარდაიცვალა 2008 წლის 15 ივნისს, რის შემდგომაც დოქტ. ოსმან ალიმ საბოლოო სახე მისცა მის ნაშრომს „ისლამური ცივილიზაციის კვლევები“. დოქტ. ესსა იყო ნევადას უნივერსიტეტის (რენო) პროფესორი 1967-1991 წლებში; ასწავლიდა მულტიკულტურულ ლიტერატურას და კრეატიულ მწერლობას. ის იყო ცნობილი, როგორც აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ლიტერატურის ექსპერტი. ის დაიბადა ინდოეთში, ადრეული წლები გაატარა პიტერმარინცურგსა და დურბანში, სამხრეთ აფრიკაში. სამხრეთ აფრიკაში აპართეიდის პერიოდში გატარებული წლები და მიღებული გამოცდილება მისთვის გახდა კრეატიული მწერლობის ერთგვარი შთაგონება. დოქ. ესსა ასევე ჩრდილოეთ ნევადის მუსლიმური საზოგადოების დამაარსებელია. 1960-იან წლებში სულ რამდენიმე წევრისგან შემდგარი ეს გაერთიანება, მისი ძალისხმევის შედეგად, დღეს რამდენიმე ათასი წევრისგან შედგება. 2003 წელს ჩრდილოეთ ნევადის საერთაშორისო ცენტრმა მას გადასცა მსოფლიო მოქალაქის ჯილდო „ნევადის და მისი კულტურულად მრავალფეროვანი მოსახლეობის ხალხთან დაკავშირებისათვის როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე“.

ოსმან ალი არის შუა აღმოსავლეთის კვლევების კანადელი პროფესორი. ის ბევრს წერს ახლო აღმოსავლეთის ისტორიისა და პოლიტიკის შესახებ. მას დოქტორის ხარისხი მიენიჭა ტორონტოს უნივერსიტეტში, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობებში მაგისტრის ხარისხი –

გველფ-კანადის უნივერსიტეტში. ის იყო რიენსონის უნივერსიტეტის (ტორონტო), ისტორიისა და ცივილიზაციის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი 1994-1998 წლებში. ამჟამად ის ლექციებს კითხულობს სალადინის უნივერსიტეტში (ერბილი, ერაყი) ისტორიის დეპარტამენტში. დოქტ. ალი ასევე არის ქურთულ-თურქული კვლევების ცენტრის (ერბილ-ქურთისტანის რეგიონი ერაყში) პრეზიდენტი და მისი სამეცნიერო ინტერესები მოიცავს ქურთულ ისტორიასა და პოლიტიკას.



გამომცემლობა „ენივალსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსიანის №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

დოკ. უგალას ზონსონი, რელიგიისა და დიპლომატიის საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტი და დამფუძნებელი, აზმ.